



# უნივერსიტეტის გაზეთის ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საკიბელი

1927-1941



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის გაზეთის ანოტირებული  
ბიბლიოგრაფიული საძიებელი

1927–1941

ედვენება ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავს



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან გამოსცემს პერიოდულ გამოცემებს, რომელშიც იბეჭდება როგორც პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სტატიები, ასევე საუნივერსიტეტო ცხოვრების ამსახველი მასალები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს მასალათა ბიბლიოგრაფიული დამუშავება და დაინტერესებულ პირებამდე მიტანა.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ 1927 წლიდან გამოდის სხვადასხვა სახელწოდებით (*პროლეტარული სტუდენტთა ხმა, საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა, ბოლშევიკური კადრებისათვის, ახალგაზრდა სტალინელი, თბილისის უნივერსიტეტი*) და დღემდე აქტიურად აშუქებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს.

საძიებელი წარმოადგენს 1927-1941 წლებში გამოცემულ სტატიათა აღწერილობას. მასალა დალაგებულია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით ქრონოლოგიურად. ბიბლიოგრაფიას დართული აქვს პირთა საძიებელი, სადაც თითოეულ გვართან მითითებული ციფრი აღნიშნავს აღწერილობათა ნომერს და გაზეთის დამუშავებული ნომრების ნუსხა. იგი ანოტირებულია, რაც მომხმარებლისთვის სტატიის შინაარსისა და ძირითადი მონაცემების გაცნობის საშუალებას იძლევა.

ბიბლიოგრაფიული საძიებელი მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1927-1941 წლებში გამოცემული გაზეთის სტატიათა აღწერილობას. წიგნი განკუთვნილია მკვლევართა და სტუდენტთათვის.

**შემდგენლები:**

რიტა გაწერელია  
რუსუდან მეგრელიშვილი  
ეკა ყაჩმაზაშვილი

**რედაქტორი:**

ზურაბ გაიპარაშვილი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

ISBN 978-9941-13-762-4

## მეცნიერება და ცოდნა

### 1935 წელი

1. აკად. მარის სიტყვიდან პარტიის მე-16 ყრილობაზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1935.-№11.-გვ. 3.  
აკადემიკოსი ნ. მარი მეცნიერებისა და მეცნიერ-მუშაკთა განვითარების შესახებ.
2. „იზვესტიას“ მოწინავე. სტახანოვური მოძრაობა და მეცნიერება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1935.-№21.-გვ. 2.  
მეცნიერების შესახებ სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე.
3. კიროვი მეცნიერების შესახებ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1935.-№20.-გვ. 3.  
ს. კიროვი (კოსტრიკოვი) განვითარების შესახებ.

### 1938 წელი

4. ამხანაგ სტალინის სიტყვა წარმოთქმული უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე კრემლში 1938 წელს 17 მაისს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№14.-გვ. 1.  
ი. სტალინი მეცნიერების განვითარების შესახებ.

## ორგანიზაციული მართვა. კონფერენცია

### 1930 წელი

5. სოციალისტური შეჯიბრების პირველი კონფერენცია: რეზოლუცია // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 2.  
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კონფერენცია სოცშეჯიბრების მსვლელობის გამოსარკვევად და მიღებული რეზოლუციის ტექსტი.

### 1933 წელი

6. მეორე პარტკონფერენცია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№6.-გვ. 1.  
საქ. კ. პ. (ბ) სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, პარტიული კონფერენციის გახსნა ს. მინდაძის საანგარიშო მოხსენებით, პარტკომის მუშაობის შესახებ.
7. უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის ს. მინდაძის მოხსენება უნივერსიტეტის მეორე პარტკონფერენციაზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№6.-გვ. 2-4.  
მეორე პარტკონფერენციაზე ს. მინდაძის მოხსენება უნივერსიტეტის განვითარებისა და შემდგომი პერსპექტივების თაობაზე.

### 1934 წელი

8. წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№1.-გვ. 2-3.  
მეორე პარტორგანიზაციის კონფერენციისთვის წარმოდგენილი ანგარიში, რომელიც ეხება განვლილი პერიოდის მიღწევებისა და პროფესორ-ლექტორთა და სტუდენტთა ვალდებულებების მე-17 პარტიული ყრილობის სამზადისისთვის.
9. კამათი ამხ. ს. მინდაძის მოხსენების გამო: [უნივერსიტეტის მეორე პარტკონფერენცია] // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№1.-გვ. 3-4.  
პარტკომის საანგარიშო მოხსენების გარშემო კამათში მონაწილე პირთა სიტყვა.
10. შარაშენიძე ი. უნივერსიტეტის დამკვერელთა მეორე კონფერენცია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 7.  
სტუდენტთა აღმასრულებელი ბიუროს თავმჯდომარის, კ. ბარათელის მიერ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მეორე კონფერენციის გახსნა.

11. საქ. ა. ლ. კ. კ. ტფილისის სახ. უნივერსიტეტის კომიტეტის მუშაობის ანგარიში: კომიტეტის მდივნის მოხსენება ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. მე-2 კონფერენციაზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№18-19.-გვ. 2-3.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ალკვ ორგანიზაციის კონფერენციის მთავარი მიზანი, მიღწევების შეჯამება და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა.
12. საქ. ა. ლ. კ. კ. ტფილისის სახ. უნივერსიტეტის კომიტეტის მუშაობის ანგარიში: კამათი მოხსენების გარშემო // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№18-19.-გვ. 3.  
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალკვ მე-2 კონფერენციაზე კამათში მონაწილე პირთა მიერ წამოჭრილი საკითხები.

### 1936 წელი

13. კონფერენცია საინტერესო იყო // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№10.- გვ. 4.  
ლიტერატურის ფაკულტეტის მიერ, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სექციაში ჩატარებული კონფერენცია, რომლის მთავარი მიზანია უნივერსიტეტში ფრანგული ენის სწავლების განვითარება.
14. გოგოტიშვილი ბენ. კარგი წამოწყება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№11.-გვ. 4.  
რუსული ენის დაუფლების საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურული ფაკულტეტის მიერ მოწყობილი სტუდენტური კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ფაკულტეტის დეკანი ბ. ბუაჩიძე და რუსული ენის კათედრის გამგე, პროფესორი გ. ახვლედიანი.
15. ჩხენკელი მიხეილ. ბგერა –"ლ"–ს საკითხი მეგრულში//ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№11.- გვ. 4.  
პირველი კონფერენციისთვის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა მიერ, მ. ჩხენკელის შესრულებული სამუშაოს ანგარიში, რომელის ეხება ენათმეცნიერებას.
16. В Секции гуманитарных наук // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№12.- გვ. 3.  
სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო სესიაზე საინტერესო თემებით აზერბაიჯანის უნივერსიტეტის დოცენტი ა. მამედოვი და პროფესორი გუბაიდულინი.
17. გეოგრაფ-გეოლოგიური სექცია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№12.-გვ. 3.  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მინერალოგიის, გეოლოგიისა და გეოგრაფიის დისციპლინებში სამეცნიერო სესიის სხდომა, რომელზედაც მოხსენებით წარსდგნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები და ერევნის უნივერსიტეტის დელეგატი, პროფესორი ნიადაგმცოდნეობის დარგში პ. გალუსტიანი.
18. "რუსთაველი და ნიჰამი განჯელი" // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№12.-გვ. 3.  
უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო სესიაზე ძველი ლიტერატურის კათედრის გამგის, პროფესორ კორნ. კეკელიძის მოხსენება თემაზე "რუსთაველი და ნიჰამი განჯელი".
19. გეოლოგების საერთაშორისო კონგრესი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№27.-გვ. 4.  
სსრკ სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმისთვის, მე-17 საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის, აკადემიკოს ი. მ. გუბკინის მოხსენება.

### 1937 წელი

20. ფრიადოსან და დამკვრელ სტუდენტთა კონფერენცია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№1.-გვ. 3.  
ფრიადოსან სტუდენტთა კონფერენციის დღის წესრიგი: პრეზიდიუმის არჩევა სტალინის მეთაურობით, მისასამებელი დეპეშის გაგზავნა ლ. ბერიასთვის.
21. დამსწრე. ახალგაზრდა მეც. მუშაკთა მეორე სამეცნიერო კონფერენცია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№17.-გვ. 4.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა მეორე სამეცნიერო კონფერენცია, რომელმაც გამოავლინა მეცნიერთა შემოქმედებითი ენერგია, ყურადღება გამახვილდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლასა და დამუშავებაზე.

22. შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№29.-გვ. 3.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ, შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის გამართვის შესახებ.

### 1938 წელი

23. თეორიული კონფერენცია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№19.-გვ. 1.  
კონფერენცია თემაზე: "ჩეხოსლოვაკია", სადაც განიხილეს საკითხები ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

24. უნივერსიტეტის კომკავშირის პირველი კონფერენცია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№23.-გვ. 4.

დერჟინსკის სახელობის კლუბში გამართული პირველი საუნივერსიტეტო კონფერენციის დღის წესრიგი: უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის ანგარიში, კომკავშირის კომიტეტის არჩევა, დელეგატების არჩევა ორჯონიკიძის სახ. რაიონის კომკავშირის კონფერენციისთვის, უნივერსიტეტის კომკავშირის მიღწევები.

### საბიბლიოთეკო საქმე

#### 1927 წელი

25. შენიშვნა: (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შესახებ) // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1927.-№1.- გვ. 5.

ბიბლიოთეკიდან წიგნების გაცემა-დაბრუნების დარეგულირების მოთხოვნა სტუდენტების მიერ.

#### 1928 წელი

26. მრევლიშვილი ს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ათი წლის თავზე // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№11.-გვ. 4.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დაარსებიდან 10 წლისთავზე, საბიბლიოთეკო ფონდების შემადგენლობა და მდგომარეობა.

#### 1934 წელი

27. ლ. მ-ლი. მივხედოთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 3.

უნივერსიტეტის სტუდენტთა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მნიშვნელობა და ნაკლოვანი მხარეები.

28. პ. ყურადღებას არ აქცევენ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 3.  
ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ვერ არეგულირებს მკითხველთა მომსახურებას, რაც განაპირობებს სტუდენტთა დაბალ აკადემიურ მოსწრებას.

29. გაბეჩავა ჟ. ჩვენ გვწერენ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№18-19.-გვ. 4

ბიბლიოთეკაში წიგნის დაუცველობის პრობლემის შესახებ, რასაც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობაც ადასტურებს.

30. ლომია ი. ურახუნე კედელსაო...: (ბიბლიოთეკა) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№20.- გვ. 2.  
ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში სტუდენტების მხრიდან წიგნების მიმართ უდიერად მოპყრობის ფაქტები.

### 1935 წელი

31. კიპარი. გავამრავლოთ ბიბლიოთეკის ფილიალები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1935.-№4.- გვ. 3.  
სტუდენტების მოთხოვნა: სტუდენტურ ქალაქში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ გახსნილ ბიბლიოთეკას დაემატოს სასწავლო და მხატვრული ლიტერატურით მომარაგებული ორი ფილიალი.
32. გაბეჩავა ჟ. სახელმწიფო ქონების გამნიაველებმა პასუხი უნდა აგონ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1935.-№4.-გვ. 4  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დამუშავება-გაცემა-დაბრუნებასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის დირექციის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.
33. გველესიანი დ. გაუმჯობესდა ბიბლიოთეკის მუშაობა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1935.-№16.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

### 1936 წელი

34. კაცია ავ. ბიბლიოთეკა წინად და ეხლა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№-5.-გვ. 2  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დაარსებიდან 15 წლისთავზე რექტორატმა და პარტიულმა კომიტეტმა შეავსო კადრებით, სამეცადინო დარბაზითა და წიგნადი ფონდით.
35. კასრაძე ტ. ტ. ს. უ. ბიბლიოთეკაში ვმუშაობ 1925 წლიდან // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№10.-გვ. 4.  
ანატასია კასრაძის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუშაობისა და საკვლევ-სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.
36. კასრაძე ტ. კიდევ უფრო გავაძლიერებ მუშაობას! // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№21.- გვ. 3.  
სადეპუტატო ჯგუფის პლენუმზე ტ. კასრაძის მოხსენება ბიბლიოთეკაში შესრულებულ სამუშაოს დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.
37. კაცია ავ. სახ. უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№24.-გვ. 2.  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდების, სამოცამდე დასახელების კოლექციის, ბიბლიოთეკისთვის ახალი შენობის შერჩევისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე.

### 1937 წელი

38. მცოდნე. მოვაგვაროთ ბიბლიოთეკის მტკივნეული საკითხები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№6.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ტექნიკური და მომსახურების მოგვარების საკითხები.
39. ცინცაძე ვ. მომსახურება უნდა გაუმჯობესდეს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№9.-გვ. 4.

მეცნიერ-მუშაკთა სამკითხველოში მკითხველთა მხრიდან საბიბლიოთეკო წესების დარღვევა.

40. ანდრონიკაშვილი ით. ბიბლიოთეკა თუ ბაზარი? // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№16.-გვ. 2.

სტუდენტთა ქალაქის მე-6 კორპუსის ბიბლიოთეკის ხარვეზები: ლიტერატურის სიმცირე, თანამშრომლების მხრიდან ხმაური და სხვ.

41. შარიქაძე მ. კარგი ბიბლიოთეკა / მ. შარიქაძე, ივ. მარაქველიძე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№19.-გვ. 2.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ქალაქის მე-6 კორპუსში მცხოვრები სტუდენტები გამოხატავენ აღფრთოვანებას ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესების გამო და ითხოვენ საჭირო ფართობის გამოყოფას.

### 1938 წელი

42. თურნავა ს. დახმარების მაგივრად // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№1.-გვ. 4.

უნივერსიტეტის სტუდენტთა საჩივარი სამკითხველოს გამგის მისამართით.

43. აბაკელია ბ. ბიბლიოთეკა სუსტად მუშაობს / ბ. აბაკელია, შ. ალანია, რ. გუჯეჯიანი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№9.-გვ. 4.

უნივერსიტეტის მე-6 კორპუსის ბიბლიოთეკის სუსტი მუშაობა და ტექნიკური ხარვეზები.

### 1939 წელი

44. ტყემელაშვილი ელ. გავაუმჯობესოთ საბიბლიოთეკო მომსახურება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№8.-გვ. 4.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კიევის შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტებს შორის დადებული ხელშეკრულება საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების, სამკითხველო დარბაზების გახსნისა და ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ.

45. თურნავა ს. განაწესს არ იცავს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№8.-გვ. 4.

უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკთა სამკითხველოს თანამშრომლის, ნინა კაკაურიძის მიერ შინაგანაწესის დარღვევის ფაქტები.

### 1941 წელი

46. ახალაძე პ. ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა // სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.-1941.-25 თებერვალი.-გვ. 4.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დაარსებისა და განვითარების ისტორია.

## პრესა. ჟურნალისტიკა

### 1928 წელი

47. ჩვენი გაზეთი // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№8.-გვ. 1.

უნივერსიტეტის გაზეთის შეფერხებით გამოცემის მიზეზები, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა არასაკმარისი ინტერესი.

48. რედაქცია. ზოგიერთების საყურადღებოდ // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№9.-გვ. 4.

გაზეთ „პროლეტარულ სტუდენტთა ხმის“ წინაშე დასახული ამოცანები, რომლის გადაჭრაც დამოკიდებულია არა მხოლოდ რედაქციაზე, არამედ სტუდენტთა და უნივერსიტეტის სხვადასხვა დაწესებულებების (კლინიკების, ლაბორატორიების) აქტიურ თანამშრომლობაზე.

## 1930 წელი

49. სარედაქციო კოლეგიის წევრი. უნივერსიტეტის გაზეთისათვის //პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 2.  
გაზეთის ახალი ნომრის გამოცემის, მისი დანიშნულებისა და მასთან თანამშრომლობის გზები.

## 1933 წელი

50. ჩვენი გაზეთის საბრძოლო ამოცანები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 1.  
უნივერსიტეტის გაზეთის ვალდებულება სტუდენტთა ყველა ლაბორინტის შესწავლა და ცოცხალი ძალების დარაზმვა მათი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.
51. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი. ბოლშევიკური სალამი სახ. უნივერსიტეტის გაზეთს „ბოლშევიკური კადრებისათვის“ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 1.  
ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ნაბეჭდი ორგანოს მნიშვნელობასა და მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების სამეცნიერო ცენტრებთან მჭიდრო კავშირის შესახებ.
52. ბედია ერ. ბოლშევიკურად იბრძოლეთ მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებულ სამეცნიერო მუშაკების მომზადებისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის. -1933.-№1.-გვ. 1.  
გაზეთი „ბოლშევიკური კადრებისათვის“ უპარტიო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად იწყებს პოლიტიკურ მუშაობას ახალი სპეციალისტების აღსაზრდელად.
53. წითლიძე ა. ფართოდ გაშალეთ ბრძოლა კომუნისტური კადრების გამოჭედვისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 1.  
უნივერსიტეტის გაზეთის ამოცანა – მაღალკვალიფიციური კომუნისტური კადრების აღზრდა.
54. პლენუმის მისაღებები: საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას-ამხ. გიორგობიანს გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტს" // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 3.  
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთისა და გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტის" თანამშრომლობა ინტერნაციონალური აღმზრელობითი მუშაობის გაშლის, სასწავლო გეგმების შესრულებისა და ლენინური აღზრდისათვის ბრძოლის საქმეში.

## 1934 წელი

55. გვიჩვენეთ კონკრეტული ხელმძღვანელობის ნიმუში ასპირანტების მომზადების საქმეში: დაიწყო გამოძახება: რედაქციის შესავალი სიტყვა// ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 2.  
გაზეთის „ბოლშევიკური კადრებისათვის“ რედაქციის ინიციატივა, მოისმინოს თითოეული პროფესორისა და დოცენტის სიტყვა ასპირანტების შესახებ.
56. რედაქცია. კორესპონდენტების თათბირი//ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 1.  
გაზეთის "ბოლშევიკურ კადრებისათვის" კორესპონდენტების თათბირზე ს. მინდაძის მოხსენება „პრესის მუშაობის ამოცანების შესახებ“.
57. ოჩიგავა დ. წერილი რედაქტორისადმი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 4 .  
წერილი "ნამდვილი ლაბორანტი" ეხება სილ. გამცემლიძის დახასიათებას, მის მიერ დაშვებულ შეცდომებს.
58. ოთხმეზური რ. კედლის გაზეთები, რომლებიც შორს დგანან უნივერსიტეტის პრაქტიკულ ამოცანებიდან: პრესისი მიმოხილვა / რ. ოთხმეზური, მ. ჩხენკელი, ვ. მესხია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 4.- ("დამკვრელი კავალერისტი", "ლენინის დროშით", "ჩვენი ხმა", "პროლეტარული კადრებისათვის", "დამკვრელი ასპირანტი", "ფოტო გაზეთი").

ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტისა და გაზეთის "ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქციის მიერ გამსვლელი რეიდის დროს ფაკულტეტებისა და საერთო საცხოვრებლის კედლის გაზეთების მუშაობაში აღმოჩენილი ხარვეზები.

59. მაისურაძე დ. მივხედოთ კედლის გაზეთს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№16.-გვ. 4.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლის გაზეთების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

### 1935 წელი

60. რედაქციის ბრიგადა. კედლის გაზეთების მუშაობა უნდა გარდაიქმნას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1935.-№10.-გვ. 2.  
უნივერსიტეტის ფაკულტეტების კედლის გაზეთის სუსტი მუშაობა.
61. ცანავა ივ. კულტურულ-მასობრივი მუშაობა მივიწყებულია: (სტ. ქალ. მე-7-დე კორპუსი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1935.-№11.-გვ. 4.  
სტუდენტთა ქალაქის მე-7 კორპუსში კულტურული და წითელი კუთხის არასათანადო მუშაობის შესახებ.

### 1936 წელი

62. რუხაძე გ. მოვაწესრიგოთ ხელისმომწერლებზე ჟურნალ-გაზეთების მიწოდების საქმე // ბოლშევიკური კადრებისათვის.- 1936.- №. 6.- გვ. 4.  
საყვედურები რედაქციის რწმუნებულების მიმართ უნივერსიტეტის გაზეთის დაგვიანებით მიწოდების გამო.
63. ძირეული პრესა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№8.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის კედლის გაზეთების "ლიტერატორის ხმა" (ლიტერატურის ფაკულტეტის სამკუთხედის ყოველთვიური გაზეთი) და "ლენინის დროში"(ისტორიის ფაკულტეტის სამკუთხედის ყოველთვიური ორგანო) მუშაობაში გამოვლენილი სხვადასხვა ხასიათის დეფექტი.
64. საამოვი გ. ჩვენი გაზეთი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№11.-გვ. 1.  
გაზეთის "ბოლშევიკური კადრებისათვის" ფუნქცია-მკითხველთათვის ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის ცხოვრების, მისი მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებსა და წარჩინებულ ადამიანთა შესახებ.
65. პრესის მიმოხილვის მაგიერ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№13.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის კედლის გაზეთების მუშაობა.
66. ცაცუა კ. გაზეთი ფართო მასებს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№19.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის გაზეთისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გავრცელების, ფინანსური დავალიანებისა და დაგვიანებით მიწოდების კუთხით.
67. კედლის გაზეთების მუშაობის გარდაქმნისათვის: (მიმოხილვის მაგიერ) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№26.-გვ. 3.  
ფაკულტეტების კედლის გაზეთების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ამალგებისათვის.

### 1937 წელი

68. ლესელიძე ვ. რატომ არ ვღებულობთ ჟურნალს//ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№3.- გვ. 4.  
სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რადგან მათ გამოიწერეს ჟურნალ „ახალგაზრდა ბოლშევიკის“ წლის ყველა გამოცემა და მიიღეს მხოლოდ ორი.
69. Ди-Чан. "Проба пера" // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№6.- გვ. 3

ფილოლოგიის ფაკულტეტის 117-ე ჯგუფის მიერ ხელნაწერი ჟურნალის "Προσα παρα" 1-ლი ნომრისა და პოეტ ა. პუშკინისადმი მიძღვნილი მეორე ნაბეჭდი ნომრის გამოცემის მიმოხილვა.

70. შუბლაძე. ნაკლი უნდა გამოსწორდეს // ბოლშევიკური კადრებისათვის.- 1937.- №8.- გვ. 4.  
ისტორიის, მათემატიკისა და სამართლის ფაკულტეტის ჯგუფების გულგრილობა სტუდენტთა გაზეთების გავრცელების საქმეში.
71. კილარა ნ. მეტი ყურადღება რემედასს: მოკლე სიგნალები // ბოლშევიკური კადრებისათვის.- 1937.-№8.-გვ. 4.  
ფილოლოგიის ფაკულტეტის რემედასის (რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების ყოველთვიური ჟურნალი) სუსტი მუშაობა.
72. დუდუჩავა ა. გაზეთ "ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქციას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№14.-გვ. 4.  
რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექციის პასუხი უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციის მიმართ წერილისთვის "ცუდათ მუშაობენ" (1937 წ. №13), რომელიც ეხება ზოგიერთ უბანზე აღმოჩენილ დეფექტებს.
73. ამხანაგ სტალინის მოგონებიდან: პრავდის დაარსება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№15.-გვ. 1.- ("პრავდა", №98, 5 მაისი 1922 წელი).  
გაზეთ "პრავდის" შესახებ.
74. სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი –"პრავდას" // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№15.-გვ. 1.  
ცენტრალური კომიტეტის მისალოცი სიტყვა გაზეთ "პრავდის" 25 წლისთავთან დაკავშირებით.
75. მოლოტოვი ვ. "პრავდის" 25 წ. თავისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№15.-გვ. 1.  
ბოლშევიკური გაზეთ "პრავდის" დაარსებიდან 25 წლისთავი.
76. ავტორის მისწრაფებით გაზეთის „ბოლშევიკური კადრებისათვის“ კორესპონდენტობისაკენ და მიზნის მიღწევით.
77. ძირეული პრესა: უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის შედეგები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№15.-გვ. 3.  
უნივერსიტეტის საფაკულტეტო კედლის გაზეთების სტილისტური შეცდომები და გამოცემათა სიმცირე.
78. ბოლქვაძე ილია. როგორ გავხდი კორესპონდენტი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№15.-გვ. 3.  
ავტორის მისწრაფება გამხდარიყო გაზეთის კორესპონდენტი. მისი პირველი სტატია დაიბეჭდა "ახალგაზრდა კომუნისტში". უნივერსიტეტში შესვლისთანავე გახდა "ბოლშევიკური კადრებისათვის" კორესპონდენტი.
79. თურნავა ს. სიტყვას ვიძლევი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№15.-გვ. 3.  
ავტორის მისწრაფება გაზეთის „ბოლშევიკური კადრებისათვის“ კორესპონდენტობისკენ და მიზნის მიღწევა.
80. აბაკელია. უხეირო და უშინაარსო კედლის გაზეთი / აბაკელია, გუჯეჯიანი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№15.-გვ. 3.  
უარყოფითია ავტორთა დამოკიდებულება სტუდენტური ქალაქის მეექვსე კორპუსის კედლის გაზეთის მიმართ – კრიტიკას იმსახურებს მისი როგორც ვიზუალური, ისე შინაარსობრივი მხარე.
81. კაკაბაძე ვანო. ი. ჭავჭავაძე ჟურნალ "ცისკარსა" და "საქართველოს მოამბეში" // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№16.-გვ. 3–4.  
ჟურნალის დაარსებასა და მისი მნიშვნელობის შესახებ.
82. ბენ. სად წავიდა გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები? // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№17.-გვ. 4.

იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტისა და ბიუროს მდივნის შამუგიას არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება პერიოდიკის გამოწერის საქმეში.

83. ჩვენი გაზეთი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№21.-გვ. 2.  
ხოზუას, ორაგველიძის, შ. ცინცაძის, გ. ჯანელიძის, გ. კვიციანიძისა და სხვათა მხრიდან გაზეთის საკუთარი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით გამოყენების მცდელობა.
84. მჭედლიშვილი ზ. უპასუხისმგებლო დამოკიდებულება პრესის გავრცელებისადმი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№23.-გვ. 4.  
ფაკულტეტების, კომკავშირის კომიტეტების, მდივნების, ჯგუფხელებისა და პრესის გამავრცელებლების უპასუხისმგებლობის შედეგად გაზეთის "ბოლშევიკური კადრებისათვის" გავრცელების შეფერხება ფაკულტეტებსა და აკადემიურ ჯგუფებში.
85. მარაქველიძე ი. კედლის გაზეთები უნდა ამუშავდეს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№24.-გვ. 4.  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის უყურადღებობა გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით.

### 1938 წელი

86. ერ-ძე. კედლის გაზეთები არ მუშაობენ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№1.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე კედლის გაზეთების გამოცემათა სიმცირე.
87. კაველაშვილი გ. პრესის გავრცელებას ყურადღება არ ექცევა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№4.-გვ. 4.  
ფაკულტეტების უყურადღებობა, გაზეთის „ბოლშევიკური კადრებისათვის“ გავრცელების კუთხით.
88. გამოხმაურება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№5.-გვ. 4.  
1937 წლის 29 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ალ. ფაჩულიძის კორესპონდენცია 174-ე ჯგუფის ხელმძღვანელ კოტე ლოლაძის დაუდევრობის შესახებ. ფაქტი დადასტურდა და მისი საქმე გადაეცა რექტორატს.
89. განმარტება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№9.-გვ. 4.  
გამოხმაურება გაზეთ "ბოლშევიკური კადრების" გასული წლის 25 სექტემბრისა და 15 ოქტომბრის ნომერებში მოთავსებულ ცილისმწამებლური წერილების თაობაზე. დასახელებული პირები რეაბილიტირებულ იქნენ.
90. მშვილდაძე ლ. კედლის გაზეთი "თეატრალი" // ბოლშევიკური კადრებისათვის: საქ. კ. პ. (ბ) თბ. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატისა და პროფკომის ორგანო.-1938.-№11.-გვ. 4.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თეატრის ყოველთვიური ორგანოს "თეატრალის" ორი ნომრის გამოცემისა და დაშვებული სტილისტური შეცდომების შესახებ.
91. მარაქველიძე ივანე. სანიმუშო კედლის გაზეთი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№12.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის სტუდენტთა ქალაქის მე-7 კორპუსის კედლის გაზეთის "საამური ცხოვრება" (რედაქტორი ვლ. კალანდია) მუშაობა შეფასებულია დადებითად.
92. ჩხეტიანი ი. ჩვენი გაზეთის ანგარიში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№12.-გვ. 4.  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ კრებაზე, ადგილობრივი მრავალპარტიული გაზეთის "ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქტორის, გელბახიანის საანგარიშო მოხსენება.
93. გოჩოლიშვილი ვ. როდის მივიღებთ ჟურნალებს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№15.-გვ. 4.  
ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა აღშფოთება, ჟურნალების "მნათობისა" და "ჩვენი თაობის" სამი ნომრის მიუღებლობასთან დაკავშირებით.

94. განმარტება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№16.-გვ. 4.  
გაზეთის "ბოლშევიკური კადრებისათვის" გასული წლის ნომერში მ. ნამიჩეიშვილზე მოთავსებული უსაფუძვლო, ცილისმწამებლური წერილების შესახებ.
95. გამოხმაურება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№18.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის გაზეთში "ბოლშევიკური კადრებისათვის" გამოქვეყნებული სტატია სტუდენტ, ამირან ნინუას პოლიტიკურად არასანდოობისა და კომკავშირის რიგებიდან გარიცხვის შესახებ. საქ. ალკვ ცენტრალური კომიტეტის ჩარევის შემდეგ იგი კვლავ გამართლებულ იქნა.
96. მშვილდაძე ლ. რედკოლეგებს სმინავთ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№19.-გვ. 4.  
სწავლის დაწყების მიუხედავად კედლის გაზეთების გამოცემის დაგვიანება.
97. გასწორება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№19.-გვ. 4.  
გაზეთის "ბოლშევიკური კადრების" მოთავსებული წერილის "აღმოფხვრათ გაცდენები" შესწორების შესახებ.
98. რედაქცია. განმარტება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№20.-გვ. 4.  
გაზეთის „ბოლშევიკური კადრებისათვის“ ყოფილი რედაქტორის, ვ. გოზალიშვილისა და ბერიძის კომკავშირიდან გარიცხვა-აღდგენის შესახებ განმარტება.
99. გამოხმაურება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№21.-გვ. 2.  
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, ალბერტაშვილისა და თაგნიაშვილის უდისციპლინო ქმედების თაობაზე წერილი უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციას.
100. მეგრელიძე ვ. გამოხმაურება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№22.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის, მეგრელიძის მიმართვა გაზეთის "ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქციას სტატიის "სანამ გაგრძელდება ასე?!" გამო. იგი კრიტიკას ეთანხმება და აღნიშნავს, რომ ხარვეზი გამოსწორებულა.
101. კომკავშირელი. დომხალი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1938.-№25.-გვ. 2.  
უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტის რემედასის (რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების ყოველთვიური ჟურნალი) ორგანიზაციის საანგარიშო კრება, სადაც ადგილი ჰქონდა უდისციპლინობას.

### 1939 წელი

102. რედაქცია. მისაბამი ინიციატივა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№1.-გვ. 4.  
მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა კოლექტივი სკოლებს ეხმარება ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. უნივერსიტეტის გაზეთის რედაქცია რუსეთში გამოქვეყნებულ მოწოდებას ეხმიანება და მოუწოდებს უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებს, იზრუნონ თბილისის სკოლებზე.
103. ყურადღება! // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№3.-გვ. 4.  
გაზეთის რედაქცია იწვევს საფაკულტეტო პარტორგების, კედლის გაზეთების რედაქტორებისა და რედკოლეგიათა წევრების თათბირს. დღის წესრიგი: საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით კედლის გაზეთის ამოცანები.
104. კედლის გაზეთის მუშაკთა თათბირი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№4.-გვ. 3.  
გაზეთის "ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქციაში შედგა პარტორგების, კედლის გაზეთის რედაქტორებისა და რედკოლეგიათა წევრების თათბირი. საუბარი ეხებოდა კედლის გაზეთის ამოცანებს XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით.
105. გაზეთის გამოშვება დაავიწყდათ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№4.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის კედლის გაზეთის "ლენინის გზით" არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.
106. ბოლქვაძე ი. კიოსკი ცუდად მუშაობს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№4.-გვ. 4.

უნივერსიტეტში არსებული "სოიუზპეჩატის" ცუდი მუშაობის შესახებ.

107. გამოხმაურება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№5.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის გამოხმაურება უნივერსიტეტის გაზეთის კრიტიკისადმი, რასაც ფაკულტეტის პარტორგი და პროფორგი გაზეთის გარდაქმნით ეხმიანება.
108. როცა გაზეთს ვერ ხელმძღვანელობენ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№11.-გვ. 4.  
დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს ქიმიის ფაკულტეტის კედლის გაზეთი „საბჭოთა ქიმიკოსი“, რაც განპირობებულია გაზეთის რედაქტორისა და რედკოლეგიის წევრთა სუსტი მუშაობა.
109. გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა კედლის გაზეთებზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№7.-გვ. 4.  
გაზეთის "ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქციაში შედგა საფაკულტეტო ორგანიზაციების, პარტორგების, კედლის გაზეთების რედაქტორებისა და რედკოლეგიათა წევრების თათბირი, სადაც აღინიშნა სამართლისა და ეკონომიკის ფაკულტეტების მიერ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება.
110. პრესის ისტორიიდან // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№15.-გვ. 3.  
თანამედროვე პერიოდული პრესის წარმოშობისა და განვითარების ისტორია.
111. გუგუშვილი პაატა. ქართული ბოლშევიკური გაზეთები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№15.-გვ. 3.  
ქართული პრესის ისტორიის შესახებ.

## ფილოსოფია. ფსიქოლოგია

### 1934 წელი

112. დამსწრე. მეტაფიზიკის წინააღმდეგ გენეტიკაში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 4.  
ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დისკუსია დოც. კ. ანდრიაძის თემაზე: "მეტაფიზიკის წინააღმდეგ გენეტიკაში".
113. ბოჭორიშვილი ი. მოვუსმინოთ საბჭოთა მეცნიერებს: პროფესორებს, დოცენტებს, ასპირანტებს მათი მუშაობის შესახებ: ლაპარაკობს დოც. ი. ბოჭორიშვილი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 2  
დოცენტ ი. ბოჭორიშვილის ანგარიში სამეცნიერო მუშაობის შესახებ. ძირითად სამუშაო თემას წარმოადგენს "ნების თავისუფლება" და "დანაშაულის პრობლემა". იგი სამჯერ იქნა დაჯილდოებული გეგმის წარმატებით შესრულებისთვის.
114. ლაპარაკობს პროფ. მ. გოგიბერიძე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 4  
უნივერსიტეტის პროფესორ მ. გოგიბერიძის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ფილოსოფიის დარგში.

### 1935 წელი

115. სალამი საბჭოთა მეცნიერების დამკვერელებს: პროფ. ნუცუბიძე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1935.-№9.-გვ. 3.  
პროფესორ შ. ნუცუბიძის მეცნიერული მიღწევების ანგარიში.
116. მანთიძე ბ. გარდავექმნათ სამეცნიერო წრეების მუშაობა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№5.-გვ. 2.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიური სამეცნიერო წრის ხელმძღვანელის, გოგიბერაშვილის წარმატებული მუშაობის თაობაზე და მზადება საჯარო მოხსენების გამართვისთვის.

### 1936 წელი

117. ამხ. ბ. მეუნარგია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1936.-№13.-გვ. 4.  
ბ. მეუნარგიას ცხოვრების, სამეცნიერო მოღვაწეობისა და საკანდიდატო დისერტაციის, (თემა „შესაძლებლობისა და სინამდვილის დიალექტიკა სტალინის შრომებში“) დაცვის შესახებ.

### რელიგია

#### 1928 წელი

118. სტუდენტი ათეისტი. ერთი საკითხი // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№9.-გვ. 4.  
ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ და „სტუდენტ ათეისტთა საზოგადოების“ დაარსება უნივერსიტეტში.

#### 1929 წელი

119. სალუქვაძე ლ. ბნელეთის მოციქულები // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1929.-№1.-გვ. 4.  
რწმენის საკითხი უნივერსიტეტში.

#### 1933 წელი

120. შარაშენიძე ი. გავშალოთ ანტი-რელიგიური მუშაობა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 4.  
სახელმწიფო უნივერსიტეტში პარტიული კომიტეტის მიერ, სპეციალური კომისიის შექმნა ანტისაშობაო კამპანიის ჩასატარებლად.

#### 1934 წელი

121. ჭკუასელი კ. გავაძლიეროთ ანტი-რელიგიური აღზრდა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 1.  
სოციალიზმის ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. უმაღლესი სკოლის მოვალეობა გააძლიეროს ანტირელიგიური მუშაობა და მეზრდოლი ათეისტებისა აღზრდა.
122. შარაშენიძე ი. პროფ. თავზარაშვილის მოხსენება პლენუმის კლუბში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 4.  
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით ორთქმავლებისა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშებისთვის პლენუმის სახელობის კლუბში გამართულ შეხვედრებით საღამოზე, პროფ. გ. თავზარაშვილი თემით: "რელიგიის წარმოშობის სოციალური საფუძვლები".
123. ხირსელი ი. დაკისრებულ მოვალეობას შესრულება უნდა / ი. ხირსელი, ვ. ცინცაძე, ი. ჯიბლაძე, ი. შარაშენიძე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 1.  
ტფილისის უნივერსიტეტის მეზრდოლი ათეისტთა საბჭოს მიერ, სხვადასხვა კლუბებში, დაწესებულებებსა და სკოლებში ანტირელიგიური მუშაობის საწარმოებლად, ასპირანტებისა და სტუდენტების ჩართვა.

#### 1937 წელი

124. გურაშვილი ილ. ფართოდ გავშალოთ ანტირელიგიური პროპაგანდა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1937.-№23.-გვ. 4.  
რელიგიურ ცრურწმენათა შესახებ სახელმწიფო უნივერსიტეტში.

### 1939 წელი

125. მეგენეიშვილი ა. მუკის უმოქმედო ორგანიზაცია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№13.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მუკის (მებრძოლ უღმერთოთა კავშირი) ორგანიზაციის (მდივანი გ. ქარჩავა) სუსტი მუშაობა ანტირელიგიური მოხსენებების სიმცირის მხრივ.
126. ჩიკაშუა ოლ. ქრისტიანული "აღდგომა" // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1939.-№13.-გვ. 4.  
ქრისტიანული "აღდგომისა" და იესო ქრისტეს არარსებობის მეცნიერული დასაბუთების შესახებ.

### პოლიტიკა. პოლიტიკური პარტიები. ეროვნული საკითხი

#### 1927 წელი

127. დიადი ოქტომბერი // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1927.-№1.-გვ. 1.  
ოქტომბრის რევოლუციიდან ათი წლისთავი.
128. ი. ბ-ლი. (იონა ბოჭორიშვილი). ოქტომბერი და სტუდენტობა // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1927.-№1.-გვ. 3.  
სტუდენტობა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავზე.

#### 1928 წელი

129. ე.-ე-ძე. ლენინი // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№9.-გვ. 1.  
ვ. ი. ლენინის (ულიანოვი) პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ.

#### 1929 წელი

130. ტოროშელიძე მ. ხუთი წელი ულენინოთ // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1929.-№1.-გვ. 1.  
ლენინის გარდაცვალების ხუთი წლისთავი.
131. ამალლობელი ს. ლენინი – პოლიტიკური გენია // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1929.-№1.-გვ. 2.  
ლენინის (ვ. ი. ულიანოვი), როგორც იშვიათი პოლიტიკური გენიის შესახებ.
132. სურგულაძე ირ. ლენინი სახელმწიფოსა და სამართალზე // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1929.-№1.-გვ. 2.  
ვ. ი. ლენინის (ულიანოვი) მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ.
133. სტუდენტი. ლენინი და უნივერსიტეტი // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1929.-№1.-გვ. 1-2.  
საბჭოთა ხელისუფლების თერთმეტი წლის შემდგომ მეცნიერებისა და კულტურის განვითარება.
134. ჭეიშვილი ალ. ლენინი და კულტურული რევოლუცია // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1929.-№ 1.-გვ. 2-3.  
ვ. ი. ლენინის განსაკუთრებული ყურადღება კულტურული რევოლუციის პრობლემების მიმართ.
135. სტუდენტი-კოოპერატორი. ლენინი და კოოპერაცია // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1929.-№ 1.-გვ. 3.  
კოოპერატიული გეგმა, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობათა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობებად გადაქცევისთვის.
136. როგორ მუშაობდა ლენინი // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1929.-№ 1.-გვ. 3.  
ვ. ი. ლენინის (ულიანოვი) მუშაობის მეთოდის შესახებ.
137. გვაზავა დ. საბჭოების გადარჩევის გამო // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1929.-№ 1.-გვ. 4.

საბჭოების გადარჩევა უნივერსიტეტში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

138. კიკაბიძე ს. ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1929.-№1.-გვ. 4.

უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანიზაციების მუშაობა საბჭოთა არჩევნებისთვის და მათ მიერ იმ პირთა გამორკვევა, რომელთაც ეძლევათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

### 1930 წელი

139. ჩვენი ამოცანები // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.- №2.- გვ. 1.

უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის მუშაობა.

140. ჩავლიეშვილი ალ. პიონერთა კოლექტივი // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 2.

სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მ. ტოროშელიძის სახელობის ნორჩ პიონერთა კოლექტივის მუშაობა.

141. პარტიული ცხოვრება // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 4.

კომუნისტური უჯრედის საქმიანობა უნივერსიტეტში.

142. ივანოვ-კავკასკი. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალური ბიუროს შესახებ // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 3.

ცუდი შედეგების გამო ცენტრალური ბიუროს მუშაობაში შეტანილი ცვლილებების ჩამონათვალი.

143. სალუქვაძე შალ. კომკავშირი და სტუდენტთა პროფორგანიზაციები // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 3.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა სოციალურად და პოლიტიკურად მიუღებელი ელემენტებისგან უნივერსიტეტის გაწმენდის კუთხით.

144. ქაროსანიძე ავ. სასტიკი ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 4.

მუშაობა ე. წ. „ტროცკისტული ოპოზიციის“ გასანადგურებლად უნივერსიტეტში.

### 1933 წელი

145. მინდაძე ს. კონტრევოლუციური მენშევიზმის რეციდივის წინააღმდეგ : (სახ. უნივერსიტეტის პარტკომის ბიუროს დადგენილება) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 2.

კომკავშირის არსებობის 15 წლისთავისთვის უნივერსიტეტში გამართულ ასპირანტურის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის გაერთიანებულ კრებაზე პარტიის წევრის, არტემ ჩაჩუას ანტიპარტიული გამოსვლის შესახებ.

146. ჯანელიძე გ. ფართოდ გავშალოთ მარქსისტულ-ლენინური სწავლება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 4.

პატრიული განათლების შესახებ უნივერსიტეტში.

147. ჟვანია ა. უნივერსიტეტთან დაარსდა პარტკაბინეტი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 3.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის დადგენილებით პარტკაბინეტის დაარსება, რომლის ამოცანაა, დაეხმაროს და საჭირო ლიტერატურა მიაწოდოს პროპაგანდისტებს.

148. კალანდარიშვილი შ. ბოლშევიკურად ვიბრძოლებთ სამოსწ. წლის წარმატებით ჩატარებისათვის: (ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 3. უნივერსიტეტში ისტორიის და ლიტერატურის ფაკულტეტის პარტიული უჯრედის სუსტი მუშაობა.

149. ბაბილოძე ვ. ვებმევიტ სოცმეჯიბრში: შემოდგომა—ზამთრის პარტსწავლების წარმატებით ჩატარებისათვის / ვ. ბაბილოძე, შ. კოპალეიშვილი // ბოლშევიკური კადრებისათვის.— 1933.—№1.— გვ. 3.  
საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების საფუძველზე, ტ. ს. უ. ეკონომიკის ფაკულტეტის პარტუჯრედის მიერ, სოცმეჯიბრში ისტორიის და ლიტერატურის ფაკულტეტის კომკავშირული უჯრედის გამოწვევა.
150. ქვარცხავა ვ. კომკავშირის 15 წლისთავი: მოსამზადებელი მუშაობა უნივერსიტეტში // ბოლშევიკური კადრებისათვის.—1933.—№1.—გვ. 3.  
სახელმწიფო უნივერსიტეტში კომკავშირის 15 წლისთავის აღსანიშნავად ჩასატარებელი ღონისძიებებისთვის მზადება.
151. ოთხმეზური რ. მარქსისტულ – ლენინური სწავლების მაღალი ხარისხისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.—1933.—№1.—გვ. 4.  
კომკავშირის იდეურ–პოლიტიკური დონისა და საწარმოო აქტივობის გაზრდა უნივერსიტეტში.
152. რით ვხვდებით მეთექვსმეტე ოქტომბერს // ბოლშევიკური კადრებისათვის.—1933.—№2.—გვ. 2.  
საბჭოთა ქვეყნის წინსვლა ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით.
153. წულაძე ე. მზად ვიყოთ ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად // ბოლშევიკური კადრებისათვის.— 1933.—№2.—გვ. 2.  
მე-16 წელი ოქტომბრის რევოლუციიდან.
154. ჩიხლაძე დ. ბრძოლებისა და გამარჯვებების ხუთმეტი წელი // ბოლშევიკური კადრებისათვის.— 1933.—№2.—გვ. 2.  
მე-11 წითელი არმიისთვის, ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის, წითელი დროშა-ორდენით გადაცემისა და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სახელის მინიჭების შესახებ.
155. ქვარცხავა ვ. ბრძოლისა და გამარჯვების 15 წელი // ბოლშევიკური კადრებისათვის.—1933.—№2.—გვ. 3.  
ლენინური კომკავშირი 15 წლის მანძილზე.
156. ვ. ქ. საზეიმო სხდომა უნივერსიტეტში // ბოლშევიკური კადრებისათვის.— 1933.— №2.— გვ. 3.  
კომკავშირის 15 წლისთავის აღსანიშნავად ტფ. სახ. უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის საზეიმო სხდომა, რომელზეც კომიტეტის მდივანმა, მახარაშვილმა ისაუბრა ბრძოლებისა და გამარჯვებების თემაზე.
157. კიდევ უფრო მაღლა სოციალიზმის დროშა // ბოლშევიკური კადრებისათვის.—1933.—№2.—გვ. 1.  
ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების 16 წლისთავი.
158. წინ პარტიის ხელმძღვანელობით // ბოლშევიკური კადრებისათვის.—1933.—№2.—გვ. 3.  
კომკავშირის 15 წლისთავის აღნიშვნა.
159. მახარაშვილი. კომკავშირის რიგებში ადგილი არა აქვს გამფლანგველს და გადაგვარებულს: (უნტის ა. ლ. კ. კ. კომიტეტის ბიუროს დადგენილება) // ბოლშევიკური კადრებისათვის.—1933.— №2.—გვ. 3.  
ავთანდილ იოსელიანის კომკავშირიდან გარიცხვის შესახებ.
160. მახარაშვილი მ. ვიბრძვით მაღალი მაჩვენებლისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.—1933.— №2.—გვ. 3.  
პარტიული განათლების გაღრმავება.
161. ბურჭულაძე ერმ. ძირეულ პარტოგოლების ანგარიშ–ჩაბარება და გადარჩევების დასრულება // ბოლშევიკური კადრებისათვის.—1933.—№5.—გვ. 1.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტოგანიზაციის საანგარიშო–საგადარჩევო კამპანიაში დროულად ჩაბმის შესახებ, რის საფუძველზეც უნივერსიტეტის ყველა აკადემიური ჯგუფი უზრუნველყოფილია გამოცდილი ხელმძღვანელებით.

162. ბერია ლ. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები საკ. კ. პ. (ბ) ცეკას გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის ბრძოლაში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 2  
ამიერკავკასიის განვითარების შესახებ.
163. ჩხეტიანი ი. გამარჯვების პატაკით შევხვდეთ XVII პარტყრილობას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 3.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის მზადება მე-17 ყრილობისათვის.
164. მ-ლი დ. ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობა უნდა გაცხოველდეს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 3.  
პარტიული ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ათეულის გამოყოფა, რომლის მიზანია ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება და მისი მუშაობის უზრუნველყოფა.
165. ბერია ნინა. საანგირშო კრება უდიდესი აქტივობით ჩატარდა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 3.  
მიმდინარე საგადარჩევო კამპანია ისტორიის და ლიტერატურის ფაკულტეტის პარტორგანიზაციაში.
166. მინდაძე ს. სახ. უნივერსიტეტის პარტორგანიზაცია XVII პარტყრილობის წინ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 3.  
უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ.
167. მ-ლი. მაფალუისტი გარიცხულია პარტიიდან // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 4.  
ისტორიის და ლიტერატურის ფაკულტეტის მეორე კურსის პარტიის კანდიდატის, შარნავას გარიცხა პარტიის რიგებიდან არასათანადო რეპლიკის გამო.
168. ლომინაძე ა. ბოლშევიკური თვითკრიტიკით ჩავატარეთ პარტუჯრედის საანგარიში საგადარჩევო კამპანია: (საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 4.  
საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მუშაობაში აღმოჩენილი ნაკლივანებანი.
169. ვ. ტ. დაარსდა ახალი პარტუჯრედი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის პარტკომიტეტის საორგანიზაციო კრება თსუს ადმინისტრაციული პარტუჯრედის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.
170. პატარაია ბ. ძირაპარტრგოლის განმტკიცებით აღმოფხვით ნაკლოვანებებს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის პარტუჯრედის ამოცანა: ბრძოლა დისციპლინის, მარქსისტულ-ლენინური პრინციპების სიწმინდისა და სასწავლო გეგმების შესრულებისთვის.
171. ახალი გამარჯვებისათვის მეორე ხუთწლედის მეორე წელში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№6.-გვ. 1.  
საბჭოთა ქვეყნის გადასვლა მეორე ხუთწლედის მეორე წელში და მისი წარმატებები.
172. ქვარცხავა ვ. კომკავშირი იბრძვის უნივერსიტეტის გამარჯვებისათვის საკავშირო შეჯიბრებაში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№6.-გვ. 4.
173. გაზეთის "კომსომოლსკაია პრავდას" მიერ გამოცხადებულ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრებაში, კომკავშირული ორგანიზაციის ხელშეწყობით უპარტიო მასის ჩაბმა.

#### 1934 წელი

174. ლენინის გზით აშხ. სტალინის ხელმძღვანელობით: 10 წელი ულენინოთ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№1.-გვ. 1.

საბჭოთა ქვეყნის განვითარება სტალინის ხელმძღვანელობით ვ. ი. ლენინის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდგომ.

175. ბოლშევიკების მე-17 ყრილობა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№1.-გვ. 1.  
საბჭოთა ქვეყნის მზადება მე-17 პარტყრილობისათვის, რათა დასახულ იქნეს მეორე ხუთწლეულის ახალი ამოცანები.
176. საველიევი მ. სტალინი – ლენინის საქმის განმგრძობი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№1.-გვ. 2.  
იმ წარმატებების შესახებ, რომელიც სტალინის ხელმძღვანელობით მიღწეულ იქნა სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში.
177. ვიმუშაოთ ისე, როგორც გვასწავლის ამხ. სტალინი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 1.  
საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის მნიშვნელობა და უნივერსიტეტი, რომელსაც თვალსაჩინო მიღწევები აქვს აკადემიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ფრონტზე.
178. უფრო მაღლა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის დროშა, მეტი სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე: საქ. კ. პ. (ბ) კულტპროპგანყოფილების გამგის ამხ. კ. ორაგველიძის სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.- 934.-№2.-გვ. 2.  
მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მნიშვნელობისა და მისი მაღალპოლიტიკურ დონეზე განვითარების შესახებ.
179. ავსტრიის გმირული პროლეტარიატის დასახმარებლად // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 8.  
უნივერსიტეტის სტუდენტობა და პროფესორ-ლექტორები, რომლებმაც პროტესტი გამოთქვეს ავსტრიის ფაშიზმის წინააღმდეგ და გამოეხმაურნენ ავსტრიის პროლეტარიატს.
180. სახელოვანი გზა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 1.  
ლენინისა და სტალინის მითითებით შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციის 12 წელი, მისი წარმატებები სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტსა და უნივერსიტეტში.
181. ჩიჩუა ტ. კომკავშირი პოლიტგანათლების ფრონტზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 2.  
უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ალკკ ორგანიზაციის მიერ პოლიტგანათლების ქსელში მუშაობის გაშლა, მე-17 პარტყრილობის შედეგების დამუშავების მიზნით.
182. გოგიბერიძე მ. გერმანული ფაშიზმი და რელიგია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 3.  
მე-17 პარტიულ ყრილობაზე გერმანულ ფაშიზმსა და რელიგიაზე სტალინის ისტორიული მნიშვნელობის მოხსენების შესახებ.
183. მე-XVII პარტყრილობის მასალების ღრმად შესწავლისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 1.  
მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საფუძველზე უნივერსიტეტის წინაშე დასმული პარტყრილობის ამოცანების სტუდენტთათვის გაცნობა.
184. ამხ. ს. მინდაძის მოხსენება უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის სხდომაზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 2.  
ს. მინდაძის მოხსენება უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნის შესახებ.
185. პარტკომის ახალი შემადგენლობა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 2.  
უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის სხდომაზე არჩეული პარტკომის წევრთა სია.
186. სარევიზიო კომისიის შემადგენლობა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 2  
სარევიზიო კომისიის წევრები: კ. ანდრიაძე, ვ. მირიანაშვილი და შ. მენაბდე.
187. პარტკომის სხდომა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 2.

პარტიული კომიტეტის სხდომაზე მდივნად ს. მინდაძის, კულტპროპორგანიზატორად გ. ჯანელიძისა და პასუხისმგებელ მომუშავედ მ. მამალაძის არჩევის შესახებ.

188. ტულუში ვ. ღრმად შევისწავლოთ XVII პარტყრ. მასალები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 3.  
უნივერსიტეტის ასპირანტთა მოსამზადებელ კურსებზე ახლადჩამოყალიბებული პოლიტწრის მუშაობა მე-17 პარტყრილობის მასალების შესასწავლად.
189. ქვარცხავა ვ. რას მივაღწიეთ და როგორ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 3.  
უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის სამზადისი შემოდგომა-ზამთრის პერიოდის კომკავშირის პოლიტქსელის მუშაობის წარმატებით უზრუნველსაყოფად.
190. ბერაია ნინა. ვიბრძვით მე-17 პარტ. ყრილობის დადგენილებათა რეალიზაციისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 4.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის აქტივთან ერთად გაერთიანებული პარტორგანიზაციის დახურული კრება, სადაც დამუშავებულ იქნა მე-17 პარტყრილობის ს. კ. პ. (ბ) წესდება.
191. კაპანაძე გ. ფართოდ გავშალოთ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა უნივერსიტეტში: მე-17 პარტყრილობის დადგენილებები მუშავდება მაღალი ხარისხით // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 4.  
მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დასამუშავებლად უნივერსიტეტის პროპაგანდისტთა სისტემატიური მეცადინეობა მსმენელთა პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.
192. ბერაია ნინა. ფართოდ გავშალოთ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა უნივერსიტეტში: გარდაქმნის შედეგად // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 4.  
მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა საფუძველზე ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის მუშაობის გამოცდილება.
193. ბეროძე ო. ფართოდ გავშალოთ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა უნივერსიტეტში: წარმატებით ვსწავლობთ (ფიზ. მათემატ. ფაკულტ. №3 პოლიტ-წრე) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 4.  
ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მე-3 პოლიტწრის მუშაობა, ს. კ. პ. (ბ) მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა და ბრძოლა მუშაობის გარდაქმნისთვის.
194. შ. მოწინავე პოლიტ-წრეები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტწრის მიერ, მე-17 პარტიული ყრილობის დადგენილებათა შესწავლა პროფ. ბ. პატარაიასა და ი. ბაიჭაძის ხელმძღვანელობით.
195. მენაბდე შ. როგორ ვსწავლობ მე-17 ყრილობის დადგენილებებს // ბოლშევიკური კადრებისათვის.- 1934.- №6.- გვ. 4.  
მე-17 ყრილობის დადგენილების შესწავლისთვის გატარებული ღონისძიებების შესახებ.
196. გაბეჩავა ჟ. ვ. ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციას: თანამგრძნობთა შორის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 2.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მუშაობა თანამგრძნობთა ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად.
197. ს. ჭ. ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციას: "კიდევ უფრო აქტიურად ჩავებმევით სოციალისტურ მშენებლობაში" // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 2.  
პარტიული კომიტეტის მუშაობა თანამგრძნობთა ჯგუფების ჩამოყალიბებისთვის.
198. ბოლშევიკურად ვემზადოთ არჩევნებისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№15.-გვ. 1.  
საარჩევნო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით სახელმწიფო უნივერსიტეტის ვალდებულება, უზრუნველყოს სასწავლო გეგმის წარმატებით შესრულება.

199. ქვარცხავა ვ. კონკრეტული ხელმძღვანელობით გარდავქმნათ კომკავშირის მუშაობა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№15.-გვ. 2.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის წარმატება დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლის ხარისხის ამაღლების საქმეში.
200. ჯანელიძე გ. მაღალი მაჩვენებლების წელი პარტ-სწავლებაში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№15.-გვ. 2.  
1934-35 სასწავლო წლისთვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტ-სწავლების ქსელი, სადაც ყურადღება გამახვილებულია მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების დაუფლებაზე.
201. ჭილაია ს. მოახლოვებულია, ფართოდ გავშალოთ მოსამზადებელი მუშაობა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№15.-გვ. 3.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს სადეპუტატო ჯგუფის მუშაობა, რომლის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელობაზე.
202. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ნოვოჩერკასკის ინდუსტრიული ინსტიტუტის შესახებ მიღებული დადგენილების თაობაზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№16.-გვ. 1.  
საკ. კ. პ. (ბ) ა-კ სამხარეო კომიტეტის დავალება უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და ინსტიტუტებს, დაამუშაონ ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.
203. მოვუსმინოთ სახ. უნივერსიტეტის საბჭოს დეპუტატებს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№16.-გვ. 3.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სადეპუტატო ჯგუფის წევრების (შ. ნუცუბიძე, ალ. გოგოლაშვილი, გ. თავზარაშვილი (თავზიშვილი), მ. შარუხია და შ. კალანდარიშვილი) მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში.
204. კაპანაძე შ. ორი მეცადინეობის შემდეგ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№16.-გვ. 4.  
პოლიტსკოლის პარტორგანიზაციების მუშაობის გააქტიურება პარტსწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
205. დ. მ. მუშაობის გარდაქმნის გზით // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№16.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის გაერთიანებული კრება, ფაკულტეტის კომკავშირელთა სასწავლო გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით.
206. 17 წელი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№17.-გვ. 1.  
ოქტომბრის რევოლუციის მე-17 წლისთავზე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მდგომარეობა და მნიშვნელობა.
207. კომისია. ოქტომბრის დღეების ჩატარების გეგმა სახ. უნივერსიტეტში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№17.-გვ. 3.  
ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად ჩასატარებელი ღონისძიებების ნუსხა.
208. ა. ნ. საბჭოების არჩევნები წარმატებით დავამთავრეთ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№18-19.-გვ. 1.  
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია.
209. ჭილაია ს. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოქტომბრის დღესასწაულზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№18-19.-გვ. 1.
210. პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით პროპაგანდისტი, ივ. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოქტომბრის რევოლუციის მე-17 წელს.
კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში სტუდენტთა ლექციებისა და სემინარების ხელ-  
მძღვანელთა პასუხისმგებლობა.
862. კიკვაძე ა. მიაქციეთ ყურადღება // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№9.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის საფოსტო ბადის ცუდი მდგომარეობა.
863. ნუცუბიძე შალვა. უნივერსიტეტის ათი წლის თავზე // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-  
№11.-გვ. 1.  
უნივერსიტეტი არსებობის ათი წლისთავზე.
864. მენაბდე ლ. ათი წლის თავისათვის // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№11.-გვ. 1.  
ლ. მენაბდე უნივერსიტეტის დაარსების ათი წლის ისტორიასთან დაკავშირებით.
865. რცხილაძე გ. მდგომარეობა ათი წლის თავისათვის აგრონომიულ ფაკულტეტზე // პროლეტა-  
რულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№11.-გვ. 2-3.  
ფაქტები ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის ათი წლისთავზე აგრონომიული  
ფაკულტეტის დაარსების ისტორიისა და არსებული მდგომარეობის შესახებ.
866. შანიძე ა. ქართველი სტუდენტი: (ქართული უნივერსიტეტის დაარსებამდე) // პროლეტარულ  
სტუდენტთა ხმა.-1928.-№11.-გვ. 2-3.  
უნივერსიტეტის დაარსების ისტორია და საანკეტო ფურცელი ქართველი სტუდენტების ყოფა-  
ცხოვრების გამოსარკვევად.
867. ნუცუბიძე აპ. სტუდენტთა მეცნიერული კვალიფიკაციის აწევის შესახებ უნივერსიტეტში // პრო-  
ლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№13-14.-გვ. 2-3.

მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო არგუმენტების ჩამონათვალი.

868. ჯანელიძე გ. მწვავე საკითხი: (ამხ. აპ. ნუცუბიძის წერილის გამო) // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№13-14.-გვ. 3.  
აპ. ნუცუბიძის წერილი, სტუდენტთა მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ უნივერსიტეტში.
869. ასათიანი გ. სემინარებში მუშაობის შესახებ//პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.- №1314.-გვ. 3.  
სემინარების მნიშვნელობა და მასზე მუშაობა, მზადება სადიპლომო შრომის დასაცავად უნივერსიტეტში.
870. კბილაძე კ. მომავალი საზაფხულო პრაქტიკა // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№13-14.-გვ. 3.  
უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან პრაქტიკის ორგანიზება და დასრულების შემდგომ სტუდენტთა ვალდებულებანი.
871. ს. ფ. (სერაფიონ ფაღავა). პედაგოგიურ ფაკულტეტზე // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№13-14.-გვ. 5.  
პედაგოგიურ ფაკულტეტთან არსებულ სამეცნიერო წრეების მუშაობის შესახებ.
872. წრის წევრი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საენათმეცნიერო წრე“ (1926-1927 წ. წ.) // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№13-14.-გვ. 5.  
უნივერსიტეტში საენათმეცნიერო წრის მეცნიერული მუშაობის ისტორია.
873. ალგორი. ფიზიკო-მათემატიკური წრის გახსნა // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1928.-№13-14.- გვ. 5.  
უნივერსიტეტში პედაგოგიურ ფაკულტეტთან არსებული ფიზიკა-მათემატიკის წრის საზეიმო გახსნა და მისი მნიშვნელობა დამოუკიდებელი კვლევა-ძიების გაფართოებისთვის.

### 1930 წელი

874. ლ.-კ. გამგეობის საყურადღებოდ // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 2.  
მოთხოვნა სესიების დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის გასაავრცელებლად.
875. გაელვა. სტიპენდია „სამკაულებს“ // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 2.  
სტუდენტთათვის სტიპენდიის მინიჭების შესახებ.
876. ტოროშელიძე მ. კოლექტივის ხანაში // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 1.  
უნივერსიტეტის ვალდებულება, მოამზადოს ახალი კადრი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.
877. კეკელიძე. პედაგოგიური ფაკულტეტის რეორგანიზაცია // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 2.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მიზანი და ვალდებულებები.
878. მეგრელიშვილი გ. ეკონომიურ-სამეცნიერო წრის შესახებ // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 4.  
სამეცნიერო წრის მიერ ეკონომიკურ პრობლემათა მეცნიერული დამუშავება.
879. მიქაძე ი. ლაბორატორია კადრებისათვის // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 4.  
ქიმიის განვითარების კუთხით, უნივერსიტეტის ვალდებულება საჭირო კადრების მოსამზადებლად და ლაბორატორიების მდგომარეობის შესწავლა- მოწესრიგება.
880. ბაქრაძე კოტე. ლაბორატორიული სისტემა და ჩვენი უნივერსიტეტი // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის გადასვლა სწავლების ლაბორატორიული სისტემაზე და ამისთვის აუცილებელი წინაპირობა.

881. გ. ნ. მხარეთმცოდნეობითი მუშაობის აღდგენისათვის // საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა.-1930.-№2.-გვ. 4.  
მხარეთმცოდნეობის, როგორც საგნის სწავლების აუცილებლობა.
882. სალუქვაძე ლ. ახალი პერიოდი // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 1.-(ჩემი მხურვალე სალამო თბილისის სახუნტის სტუდენტთა მე-4 კონფერენციას: გარდავქმნათ ჩვენი საქმიანობა მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე: სტუდენტთა შორის გავაძლიეროთ მასიურ-კულტურული და აკადემიური მუშაობა).  
სტუდენტთა პროფორგანიზაციების მუშაობა და ბრძოლა ახალი გამოწვევების დასაძლევად.
883. ტოროშელიძე მ. ძველი და ახალი სტუდენტობა // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 1.-(ჩემი მხურვალე სალამო თბილისის სახუნტის სტუდენტთა მე-4 კონფერენციას: გარდავქმნათ ჩვენი საქმიანობა მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე: სტუდენტთა შორის გავაძლიეროთ მასიურ-კულტურული და აკადემიური მუშაობა).  
უნივერსიტეტის სტუდენტობა პირობებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების შესახებ.
884. ნუცუბიძე შალვა. ჩვენი სტუდენტობა და მისი ამოცანები // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 1.-(ჩემი მხურვალე სალამო თბილისის სახუნტის სტუდენტთა მე-4 კონფერენციას: გარდავქმნათ ჩვენი საქმიანობა მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე: სტუდენტთა შორის გავაძლიეროთ მასიურ-კულტურული და აკადემიური მუშაობა).  
უნივერსიტეტის პედაგოგიური პერსონალის დამოკიდებულება ახალი გამოწვევების დასაძლევად და მათი შესაძლებლობების წარმართვა აღზრდელობით საქმეში.
885. ხუნდაძე სიმონ. ცოტა რამ პედ. ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 1.-(ჩემი მხურვალე სალამო თბილისის სახუნტის სტუდენტთა მე-4 კონფერენციას: გარდავქმნათ ჩვენი საქმიანობა მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე: სტუდენტთა შორის გავაძლიეროთ მასიურ-კულტურული და აკადემიური მუშაობა).  
უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და პედაგოგიური ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სამი ძირითადი ფაკულტეტის ჩამოყალიბების დამადასტურებელი ფაქტები.
886. კეკელიძე ვ. ახალგაზრდა მეცნიერთა კადრის მომზადებისათვის უნივერსიტეტში // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 2.  
პრობლემები კვალიფიციური კადრის მომზადების კუთხით.
887. ვ. ა. ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 2.  
გამოვლენილი ნაკლოვანებანი მეცნიერული აღზრდის საქმეში.
888. გეგენავა სამსონ. ახალი კადრების მომზადების ზოგიერთ საკითხებზე // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 2.  
უმალღესი ტექნიკური სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ.
889. გიკაშვილი თ. გავაცხოველოთ უნივერსიტეტის გარეთ მუშაობა // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 2.  
სტუდენტთა ჩაბმა წარმოება- დაწესებულებათა საქმიანობაში.
890. კიკაბიძე ს. ჩვენი მუშაობის მიღწევები და დეფექტები//პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 3.  
სტუდენტთა აღმასრულებელი ბიუროს მუშაობა და გასული წლების (1927-28 წ.წ.) პედაგოგთა, სტუდენტთა და სასწავლო პოცესის გარდაქმნის შესახებ.
891. აკ. კომისიის მუშაობა // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 3.  
აკადემიური კომისიის მიერ ფაკულტეტების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესწავლა და რეფორმების განხორციელება.
892. ი. ქ. სამკურნალო ფაკულტეტის მომავალი // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 4.

- სამკურნალო ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ახალი სასწავლო გეგმის შემუშავება.
893. ახალგაზრდა მუშა. საჭიროა ყურადღება // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 4.  
სამეურნეო დაწესებულებებში სტუდენტთა „კონტრაქტაციის“ საკითხის მოწესრიგება.
894. თუ არ ამირჩევთ პროფესორად მშვიდობით! // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 4.  
უნივერსიტეტში პროფესორთა არჩევნები და პედაგოგთა მხრიდან არჩევნების გაჭიანურება.
895. საყურადღებო შენიშვნები // პროლეტარულ სტუდენტთა ხმა.-1930.-№6.-გვ. 4.  
დარღვევები სტუდენტთა „კონტრაქტაციის“ კუთხით საწარმოო დაწესებულებებში.

### 1933 წელი

896. საქ. კ. პ. (ბ) სახუნტის პარტკომის პლენუმი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 1.  
რექტორის, ლევ. აღნიაშვილის მოხსენება უნივერსიტეტის პარტკომის პლენუმზე, გასული სასწავლო წლის შედეგებისა და მიმდინარე სასწავლო წლის ამოცანების შესახებ.
897. გობეჩია მ. ყურადღების ცენტრში – ბრძოლა სწავლების ხარისხისათვის, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების დაუფლებისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 1.  
ქვეყანის აღმშენებლობის კუთხით, უნივერსიტეტის ვალდებულება მეცნიერული ცოდნით შეიარაღებული კადრის მომზადება.
898. ორაგველიძე კ. მედგრად იბრძოლეთ მაღალკვალიფიციური კადრების შექმნისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 1.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძოლა უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების და სამეცნიერო მუშაკების მომზადებისთვის.
899. მუსხელიშვილი ნ. ფიზიკო-მათემატიკური მუშაობის პერსპექტივები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 2.  
ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, ნ. მუსხელიშვილის მოსაზრებით, შესაფერისი ლაბორატორიისა და პედაგოგიური კადრების სიმცირის პრობლემის მოგვარება და მოთხოვნა, დაარსდეს ასტრონომიული და გეოფიზიკური განყოფილებები.
900. ჭკუასელი კ. მზად შევხვდით ახალ სასწავლო წელს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 2.  
ისტორიის და ლიტერატურის ფაკულტეტის მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისთვის გადამუშავებული და დახუსტებული სასწავლო-სამუშაო გეგმით.
901. კეცხოველი ნ. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი 1933-34 წლისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 2.  
საპასუხისმგებლო დავალება საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს 1933-34 წლისთვის.
902. სურგულაძე ი. უზრუნველყოთ უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 2.  
სამზადისი მიმდინარე სამოსწავლო წლისთვის, სტაბილური სასწავლო გეგმით და კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალით უზრუნველყოფა.
903. ჯანელიძე გრ. ეკონომიკის ფაკულტეტი მომზადებული შეხვდა სასწავლო წელს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 2.  
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ, სტაბილური სასწავლო გეგმით, სამეცნიერო მუშაკების, პედაგოგებისა და უმაღლესი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.
904. ვ. ს-ე. გარდავქმნათ სამეცნიერო წრეების მუშაობა//ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 2.  
ტფილისის უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო წრის მიერ (ლიტერატურულის, ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, საისტორიო, მათემატიკის) მომზადებული სამეცნიერო აკადემიური ხასიათის საჯარო მოხსენებები.

905. გასული სამოსწავლო წლის შედეგები და მიმდინარე სამოსწავლო წლის ამოცანები: უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ლ. აღნიაშვილის მოხსენება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 3.  
რექტორის, ლ. აღნიაშვილის მოხსენების სრული ტექსტი.
906. ბურჟულაძე ერმ. ასპირანტურის მუშაობის მაღალი ხარისხისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№1.-გვ. 3.  
უნივერსიტეტში ასპირანტურის მუშაობის წარმატებები და პრობლემები.
907. სურგულაძე ირ. ბოლშევიკურ კადრებს მოუმზადებთ საბჭოებს – პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№2.-გვ. 2.  
ახალი სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს ფაკულტეტების საქმიანობა.
908. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის პლენუმი: კამათი ამხ. ლ. აღნიაშვილის მოხსენების გარშემო; ამხ. ლ. აღნიაშვილის საბოლოო სიტყვა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№2.-გვ. 4.  
ლ. აღნიაშვილის მოხსენება საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ.
909. გიორგობიანი გ. კომკავშირი აკადემიური და საზოგადოებრივ მუშაობის ფრონტზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№2.-გვ. 3.  
სასწავლო პროცესისა და დისციპლინის გაუმჯობესების შესახებ უნივერსიტეტში.
910. ჩვენი სამი ძირითადი ამოცანა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.- №3.- გვ. 1.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის დაკისრებული ამოცანა დისციპლინის გაუმჯობესება, მუშაობა სასწავლო გეგმების შესრულებისთვის და ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე.
911. ჭკუასელი. კ. სასწავლო დისციპლინას მეტი ყურადღება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 1.  
უმაღლესი სასწავლებლების ბრძოლა დისციპლინის განმტკიცებისთვის და ამ კუთხით პედაგოგის, როგორც ძირითადი ფიგურის როლი.
912. ულმოხელი ბრძოლა მეცადინეობის გაცდენასთან // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 1.  
სტუდენტების მიერ გაცდენილი საათებისა და პროფესორ-ლექტორთა მიერ სასწავლო გეგმების შესახებ მონაცემთა ცხრილი.
913. შეჯიბრების მაჩვენებლები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 3.-უმაღლეს სასწავლებლების, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მეორე საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების კომიტეტი.  
სწავლების მეთოდების გაუმჯობესება და სტუდენტობის დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზება, საწარმოო პრაქტიკა, კულტურა და ყოფაცხოვრება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა-სასწავლებლებისთვის ძირითადი ვალდებულებები საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისთვის.
914. საქ. ა. ლ. კ. კ. ტფ. სახ. უნივერსიტეტის კომიტეტის პლენუმი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 3.  
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ლ. აღნიაშვილის მოხსენება უნივერსიტეტის სასწავლო-საწარმოო გეგმების შესრულებისთვის.
915. პლენუმის მისალმებები: საქ. კ. პ. (ბ) ა. კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანს ამხ. ლ. ბერიას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 3.  
უნივერსიტეტის წარმატებანი სტუდენტთა აკადემიური სწავლების ფრონტზე.
916. სახელოვნად ჩავატაროთ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მეორე შეჯიბრება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 4.

მთავრობის დადგენილების საფუძველზე უმაღლესი სკოლებისა და ტექნიკუმების მიერ განვლილ წელს გაწეული მუშაობის შესახებ. ("კომსომლ პრავდა").

917. შეჯიბრებაში მონაწილეობის წესები და პირობები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 4.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილე დაწესებულებებისთვის წესები და პირობები.

918. შ. კ-ლი. კიდევ უფრო ფართოდ გავშლით მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას: უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის დაჯილდოება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 5.

საკ. კ. პ.(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნის ლ. ბერიას მიმართვა, პარტ-სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისა და პოლიტგანყოფილების ქსელში პარტიის წევრთა 100 პროცენტით ჩაბმის შესახებ.

919. ოთხმეზური რ. კომკავშირი მარქსისტულ-ლენინური სწავლების ფრონტზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 5.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ალკკ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სამუშაოების დადებითი და უარყოფითი მხარე.

920. კალანდარიშვილი შალვა. უნივერსიტეტის პარტორგანიზაცია ბოლშევიკურის სიფხიზლის სადარაჯოზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 6.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის ბრძოლას პარტისტორიის შესწავლისთვის.

921. ბარათელია კ. შორს პარტიის რიგებიდან ოპორტუნისტები გახრწნილი და მიტმანნილი ელემენტები, კონტრრევოლუციონური ტროცკიზმის აგენტები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№3.-გვ. 6.

სამართლის ფაკულტეტის კომუჯრედის მუშაობის მიღწევები და ნაკლოვანებანი.

922. ბოლშევიკურად შევხვდეთ სოციალისტურ გამარჯვებათა ყრილობას! // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 1.

სასწავლო გეგმების 100 პროცენტით შესრულება, არც ერთი ჩამორჩენილი, მიმდინარე სესიების წარმატებით ჩატარება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა - ის ძირითადი მიმართულებებია, რითიც ხვდება უნივერსიტეტი ბოლშევიკური პარტიის მე-17 ყრილობას.

923. ყველამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს შეჯიბრებაში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 1.

მე-17 პარტიული ყრილობისთვის სტუდენტთა ჯგუფების, კათედრებისა და ფაკულტეტების მზადება და უმაღლესი სასწავლებლების მიერ მეორე საკავშირო-შეჯიბრებების მასალების დამუშავება.

924. დეკემბერს ვაცხადებთ მე-17 პარტყრილობის სახელობის ლაშქრობის თვედ: ტფ. სახ. უნივერსიტეტის პედაგოგონალისა და სტუდენტთა კრების მიმართვა ყველა უმაღლეს სასწავლებლებისადმი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 1.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესორ-ლექტორთა და სტუდენტთა საერთო კრება, სადაც განხილულ იქნა სასწავლებლის მიღწევები და დეკემბერი გამოცხადებული იქნა მე-17 ყრილობის სახელობის ლაშქრობის თვედ.

925. ოთხმეზური რ. ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა / რ. ოთხმეზური, გ. გიორგობიანი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 1.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის მიერ ს. კ. პ. (ბ) მე-17 პარტყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით საანგარიშო საგადარჩევო კამპანიის გამართვა არსებული დეფექტების ლიკვიდაციისა და სასწავლო-საწარმოო გეგმების შესასრულებლად.

926. პატარაია ბ. ახალი მიღწევებით შევხვდეთ ყრილობას//ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 1.

ეკონომიკის ფაკულტეტის თეორიული სექციის ბრძოლა სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის.

927. პროგრამები დავიყვანოთ - სტუდენტობამდე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 1.  
დაბეჭდილი პროგრამების გასავრცელებლად მუშაობის გადრმავება.
928. მიმართვა მოსკოვის სამანქანო-სამშენებლო ინსტიტუტის პროლეტარულ სტუდენტობას, პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციას პროფესორ-ლექტორთა შემადგენლობას / ლ. აღნიაშვილი, ს. მინდაძე, ი. ხირსელი და სხვ. // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 2.  
მოსკოვის სამანქანო-სამშენებლო ინსტიტუტის მიერ თბილისის უნივერსიტეტის საკავშირო შეჯიბრებაში გამოწვევის შესახებ.
929. ს. ფ. ვიბრძოლოთ შეჯიბრების ფორმალურად გაშლის და ცრუდამკვრელობის წინააღმდეგ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 2.  
უნივერსიტეტში სოც-შეჯიბრისა და დამკვრელობის საქმეში ფორმალური და ზერელე დამოკიდებულება.
930. ძულიაშვილი. (ეკონომიკის ფაკულტეტის პარტუჯრედის პ. მ. მდივანი). პარტ-ჯგუფორგები კარგად მუშაობენ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 2.  
ეკონომიკის ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მუშაობა სასწავლო გეგმების შესრულების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სტუდენტთა აკადემიური დონის ამაღლებისთვის.
931. როგორ მუშაობს ჩვენი პარტჯგუფი: (ისტ. ლიტ. ფაკულტეტის პარტორგის დ. ჩილაჩავას წერილი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 2.  
მე-17 პარტყრილობასთან დაკავშირებით, დ. ჩილაჩავას ხელმძღვანელობით პარტჯგუფის საქმიანობა სამუშაო გეგმის მიხედვით.
932. ჩიჩუა ტ. გაცხოველებით ვეშადებით სესიებისათვის//ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 2.  
საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის, ნ. კეცხოველის მიერ სტუდენტთა ყოფაცხოვრებისა და სამეცადინო პირობების შესწავლა. მისივე ინიციატივით ამავე ფაკულტეტის სტუდენტთათვის სასესიო საგნებში კონსულტაციის გამართვა.
933. ფაჩულია ს. მოვაწყვეთ თვითანგარიშზე სადამო: (ეკონომიკის ფაკულტეტის თეორიული განყოფილება) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№4.-გვ. 2.  
საკ. ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილების რეალიზაციისთვის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაშლილმა ბრძოლამ მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო, რასაც ადასტურებს მთელ რიგ ჯგუფების მიერ აკადემიურ ფრონტზე მიღწეული წარმატებები.
934. წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 1.  
უნივერსიტეტში პარტორგანიზაციის მიერ განვლილი წელი, როგორც წელიწადი უდიდესი მიღწევების, წარმატებების მეცნიერებისა და კულტურის ნამდვილი კერის შექმნის გზაზე.
935. აღმოვფხვრათ ფორმალური მონაწილეობა შეჯიბრებაში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 1.  
სახელდახელო შემოწმების შედეგად, მეორე საკავშირო შეჯიბრების საქმეში მოსკოვის, ბაუმანის სახელობის მექანო-სამანქანათმშენებლო სასწავლებლებში გამოვლენილი ჩამორჩენა.
936. შეწირული გრ. დაუყოვნებლივ შევაკსოთ სასწავლო გეგმაში არსებული ხარვეზები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 1.  
საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტის სასწავლო გეგმის შეუსრულებლობა და მის სალიკვიდაციოდ ფაკულტეტის დეკანატის მიერ მიღებულია გადამჭრელი ზომები.
937. ბუაჩიძე ალ. პარტიული კომიტეტის მდივანს-ამხ. ს. მინდაძეს ბოლშევიკური კადრების რედაქციას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 1.  
სამართლის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ.

938. ნასარიძე მარგო. გაათკეცებული ენერგიით ვიბრძოლებთ საკავშირო შეჯიბრების მაჩვენებელთა შესასრულებლად: (ეკ. ფაკ-ტის საგემო სექციის მე-2 კურსის 8-ე ჯგუფი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 3.  
 უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბრძოლა სწავლების მაღალი ხარისხისა და სასწავლო გეგმების შესრულებისთვის.
939. გავეცნოთ მოწინავეთა მუშაობას: სიტვა ეძლევა ისტ. ლიტ. უჯრედის მდივანს აშხ. შ. კალანდარიშვილს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 3.  
 ისტორიის და ლიტერატურის ფაკულტეტის უჯრედის მიღწევები.
940. კეცხოველი ნ. ვიბრძოლოთ სტუდენტთა საერთო კულტურული დონის ამაღლებისათვის: მეტი ყურადღება სტუდენტის მუშაობას უნივერსიტეტის გარეთ: სტუდენტი სახლში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№5.-გვ. 4.  
 სტუდენტური ცხოვრება უნივერსიტეტის გარეთ.
941. პირველი სემესტრის სასწავლო გეგმები შესრულებულია // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.- №6.- გვ. 1.  
 წასაკითხი და წაკითხული სალექციო საათების ჩამონათვალი.
942. კალანდარიშვილი შ. მაღლა ავწიოთ სოცშეჯიბრის დამკვერელობის დროშა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№6.-გვ. 4.  
 სოცშეჯიბრებისა და დამკვერელობის ახალი ტალღის ფონზე, პროფესორ-ლექტორთა და სტუდენტთა ბრძოლა სასწავლო გეგმის მთლიანად შესასრულებლად, სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად და გამარჯვება უმაღლესი სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრებაში.
943. აღნიაშვილი ლ. სახ. უნივერსიტეტის ასპირანტურის ინსტიტუტში მიღების პირობები / ლ. აღნიაშვილი, შ. სიხარულიძე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1933.-№6.-გვ. 4.  
 იმ დისციპლინათა ჩამონათვალი, რომელზედაც 1934 წლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის ინსტიტუტში იწარმოებს მიღება.

### 1934 წელი

944. ახალი გამარჯვებებისაკენ კულტურული მშენებლობის დარგში, მეტი სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე: განათლების სახ. კომისრის ბედიას სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№1.-გვ. 5.  
 განათლების სახელმწიფო კომისრის სიტყვა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების კუთხით მიღწევები და სამომავლო გეგმა.
945. მიგრაშვილი გ. ყურადღებით შევისწავლოთ პირველი სემესტრის შედეგები – ბოლშევიკურად ჩავატაროთ მეორე სემესტრი: პირველი სემესტრის შედეგები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№1.-გვ. 5.  
 პირველ სემესტრის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში.
946. ციხისთავი ლ. პირველი სემესტრის შედეგები და ჩვენი შემდგომი ამოცანები: (ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 7.  
 საშემოდგომო სემესტრის დასაწყისის ისტორიის და ლიტერატურის ფაკულტეტზე შეხვედრა, სასწავლო გეგმების, ლექციების განაწილებისა და პროფესორ-მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის მიზნით.
947. ტულუმი ვ. აშხ. სტალინის სიტყვაზე: უპასუხებთ კონკრეტული ვალდებულებებით // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 2.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომხაურება მე-17 პარტყრილობაზე სტალინის მოხსენებისა და კონკრეტულად მითითებულ ვალდებულებათა რეალიზაციისთვის.

948. ლობჯანიძე მ. რა მოგვცა თვითანგარიშის მოწყობამ: (ეკ. ფაკულტეტის თეორიული განყოფილება) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 2.  
ეკონომიკის ფაკულტეტის თეორიულ განყოფილების თვითანგარიშის საღამო, სადაც დასახულ იქნა ღონისძიებანი სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.
949. ვიწყებთ ბოლშევიკურ ბრძოლას სამეცადინო დღის სრულად დატვირთვისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 2.  
უნივერსიტეტის გამომხაურება სავ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე კ. ორაგველიძის მოწოდების გარშემო, სამუშაო საათების მაქსიმალურად დატვირთვისათან დაკავშირებით.
950. ტფ. უნივერსიტეტის პროფესორ-ლექტორების მიმართვა საქ. უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-ლექტორებს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 2.  
უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენცია, სპეციალისტების მოსამზადებლად სასწავლო დღის რაციონალურად გამოყებასთან დაკავშირებით.
951. კუტუბიძე ლ. მეორე სემესტრი უნაკლოთ უნდა ჩავატაროთ: (საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი)/ლ. კუტუბიძე, გრ. ჯაველიძე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 3.  
საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის კ. ანდრიაძის მოხსენება ფაკულტეტზე პირველი სემესტრის მიღწევების, ნაკლოვანებათა და ახალი ამოცანების დასახვასთან დაკავშირებით.
952. ალფა. ნამდვილად დავიყვანოთ პროგრამები თვითეულ სტუდენტამდე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 3.  
სტუდენტათვის ყველა დისციპლინაში სასწავლო პროგრამების მიწოდებასა და მისი კონტროლის შესახებ.
953. ბუაჩიძე ა. პირველი სემესტრის შედეგები სამართლის ფაკულტეტზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 3.  
სამართლის ფაკულტეტის მიერ პირველი სემესტრის სესიებისთვის ჩატარებული სამუშაოების ანგარიში.
954. დუშაშვილი ნ. კიდევ უფრო გავმლით ბრძოლას სასწავლო გეგმების შესრულებისათვის: (ეკ. ფაკულტეტის საადრიცხო სექცია)// ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 3.  
ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის თანამემწის მირიანაშვილის და სააღმშენებლო სექციის კომკავშირის მდივნის ჩაჩხიანის მოხსენება, პირველი სემესტრის მნიშვნელოვანი მიღწევებისა და ახალი ვალდებულებების წარმატებით წარმართვისათვის.
955. სვირელი. "დამკვრელი" დაგვიანებაში: (სამართლის ფაკულტეტი. №42 ჯგუფი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 3.  
სამართლის ფაკულტეტი სტუდენტების მხრიდან ლექციებზე უდისციპლინო ქმედებებისა და სისტემატური დაგვიანებების შესახებ.
956. ჩიჩუა ტ. შეუდექით მეორე სემესტრის გეგმისათვის ბრძოლას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 3.  
გეოლოგიის სპეციალობის მესამე კურსის №81 ჯგუფის ვალდებულებები უმაღლესი სასწავლებლების შეჯიბრებაში ჩაბმასთან დაკავშირებით.
957. სამუგია ვ. უფრო მაღლა სოცმეჯიბრებისა და დამკვრელობის დროშა: (ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 4.  
ისტორიის და ლიტერატურის ფაკულტეტზე სოცმეჯიბრებისა და დამკვრელობის თვითმემოწმების შედეგების მაღალი მჯვენებისა და სამომავლო ამოცანების დასახვის თაობაზე.
958. სულაბერიძე ტ. მე-2 სემესტრში ვიბრძოლებთ კიდევ უფრო დიდი წარმატებებისათვის / ტ. სულაბერიძე, შ. ჟვანია, სამყურაშვილი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 4.

ეკონომიკის ფაკულტეტის პირველი სემესტრის მიღწევებისა და დისციპლინაში არსებულ დარღვევათა შესახებ.

959. ჟ. გ. გავამაგროთ დისციპლინა: (სამართლის ფაკ. №40 ჯგუფი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№2.-გვ. 4.  
სამართლის ფაკულტეტის ჯგუფის სამკუთხედის მიერ მე-40 ჯგუფისთვის დისციპლინის ასამაღლებლად დასახული ღონისძიებანი.
960. ფალავანდიშვილი ს. რას მივაღწიეთ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 1.  
ეკონომიკური ფაკულტეტის პირველ სემესტრში არსებული დარღვევების თაობაზე.
961. ტულუმი ვ. ასპირანტთა მოსამზადებელი კურსი ჩაება მეორე საკავშირო შეჯიბრებაში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 1.  
ასპირანტთა ჯგუფის ჩაბმა უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო შეჯიბრებაში და ზოგიერთი ასპირანტის მხრიდან საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების შესახებ.
962. ს-ფ. თეორიული სექციის ჯგუფი გამოვიდა გარღვევებიდან // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 2  
თეორიული სექციის ჯგუფში დისციპლინის დარღვევის გამო ჯგუფის ხელმძღვანელობის შეცვლა და შედეგად მიღებული მიღწევები.
963. ვ-ტ. ვიბრძვით შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 2.  
ასპირანტთა მოსამზადებელი ჯგუფის ჩაბმა უნივერსიტეტის მუშაობაში.
964. კიწმარიშვილი გ. მეორე სემესტრის სასწავლო გეგმები უნდა შევასრულოთ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 2.  
საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტის პირველი კურსის №38 ჯგუფის სტუდენტთა ჩაბმა უმაღლესი სასწავლებლების შეჯიბრებაში და ბრძოლა აკადემიურად სუსტი სტუდენტების ჩამორჩენის ლიკვიდაციისთვის.
965. ჯაფარიძე გ. მივბაძოთ მოწინავეებს / გ. ჯაფარიძე, ი. ოკუჯავა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 2.  
საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გაერთიანებული ჯგუფების მეცადინეობაზე დასწრებისა და დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების მხრივ ჩამორჩენა.
966. მენაბდე შურა. ჩვენი მოწინავეები: (ეკონ. ფაკულტეტი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ქალის მარგარიტა გოდირიძის მიერ, ლექციების უმიზეზოდ გაცდენა-დაგვიანების აკრძალვა და თითოეული სტუდენტის დარაზმვა სწავლების მაღალი ხარისხისთვის საბრძოლველად.
967. ფიზიკოსი. ფიზიკის სამეცნიერო წრის მუშაობა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 4.  
ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე არსებული ფიზიკის სამეცნიერო წრის მიღწევები დოც. მ. მირიანაშვილის ხელმძღვანელობით.
968. ყვირილისპირელი. შორს დეორგანიზატორი: (საბჭოთა აღმშ. და სამართლის ფაკ. ჯგუფი №24) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№3.-გვ. 4.  
საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტის №24 ჯგუფისა და მისი სამკუთხედის მიერ გადადგმული ნაბიჯი, საკავშირო კონკურსთან დაკავშირებით მიღებულ ვალდებულებათა რეალიზაციისთვის.
969. ბურჭულაძე ე. განსაკუთრებული მნიშვნელობის "წვრილმანი" // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 1.  
სტუდენტის მიერ წაკითხულისა და მოსმენილის წერილობითი ფიქსაცია, რასაც კონსპექტური მუშაობა ჰქვია, დამკვიდრებული მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში და მოწოდება, გამოცდილების თბილისის უნივერსიტეტში დაფუძნებასთან დაკავშირებით.

970. გამცემლიძე ს. ზოოლოგიის კათედრის მიღწევები და ნაკლი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 1.  
ზოოლოგიის კათედრის მუშაობა, მისი მიღწევები, ნაკლოვანებანი და როლი ახალი კადრის აღზრდის საქმეში.
971. ჭანტურია შ. ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 2.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის ხარვეზების თაობაზე.
972. ოკუჯავა ი. გაცდენა დაგვიანება აღმოვფხვრათ ძირფესვიანად // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 2.  
სასწავლო დისციპლინის გაუმჯობესების მიზნით გაცდენა – დაგვიანების აღრიცხვის ახალი ფორმის შემოღება და მისი დადებითი მხარე.
973. მთვარაძე გ. ბოტანიკის კათედრის გამოცდილება სხვა კათედრებს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 2.  
უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის მუშაობა, მისი მიღწევები სასწავლო და სამეცნიერო კუთხით კათედრის გამგის დოცენტ, ნ. კეცხოველის ხელმძღვანელობით.
974. ლ. ს. მისაბაძი მაგალითი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 2.  
მათემატიკის დარგში დოცენტ, დ. ჭავჭავაძის პედაგოგიური გამოცდილება.
975. ბოლქვაძე ი. რა კეთდება სახუნტის მუშაგაში // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის ორი წლის არსებობის ისტორია.
976. ნ. დ-ლი. კიდევ უფრო განვამტკიცოთ დისციპლინა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის სააღრიცხვო სექციის დარაზმვა სასწავლო გეგმისა და დისციპლინის განმტკიცებისთვის.
977. ჭანტურიძე ზ. ჩამორჩენას არ დაუშვებთ: [ეკ. ფაკ. საგეგმო სექციის კურსის №3 ჯგუფი] // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№4.-გვ. 4.  
უმაღლესი სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრებასთან დაკავშირებით, ჯგუფის ვალდებულებები გეგმების შესრულებისა და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისთვის.
978. სახალხო განათლების კომისარის ამხ. ერ. ბედიას სიტყვა: (წარმოთქმული საქართველოს ცაკის სესიაზე ამხ. გერმან მაგალობლიშვილის მოხსენების გამო ა.წ. 22 მარტს) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 1-2.  
ერ. ბედიას სიტყვა განათლებისა და კულტურის მშენებლობის საკითხებზე.
979. ვიწყებთ გამოძახებას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 2.  
უნივერსიტეტის ასპირანტურის ინსტიტუტის მუშაობა და იმ პროფესორთა და დოცენტთა ჩამონათვალი, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ ასპირანტების მომზადებას.
980. ხირსელი ი. მომზადებული შევხვდეთ საწარმოო პრაქტიკას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 3.  
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის წარმართვა.
981. ცნობა სტუდენტთა და პედ-პერსონალთა გაცდენებზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 3.  
ცხრილის სახით მოცემული სტუდენტთა (I/III-დან 31/ III-დე) და პედაგოგთა (1 მარტიდან-3 აპრილამდე) საპატიო და არა საპატიო გაცდენების შესახებ.
982. ხ-ც-ელი. კმარა, მეტის ატანა შეუძლებელია: (სამართლის ფაკულტეტი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 3.

- სამართლის ფაკულტეტის მიერ საკავშირო სოცშეჯიბრებაში აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში ხელისშემშლელ უდისციპლინო სტუდენტთა შესახებ.
983. მეტრეველი პ. იქ სადაც ჯგ. სამკუთხედი კარგად მუშაობს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის №33 ჯგუფის სამკუთხედის ხელმძღვანელის მუშაობით მიღწეული წარმატებები.
984. დამსწრე. ჯგუფის ხელის შემშლელები უნდა აილაგმოს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 4.  
საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტის მიერ სასწავლო გეგმის შესრულებისა და შრომის დისციპლინის საქმეში მოწინავედ აღიარების მიუხედავად, არსებული ნაკლოვანებანი.
985. პარტიული კალენდარი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№5.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის პარტორგანიზაციების კრება სასწავლო გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
986. გვიჩვენეთ კონკრეტული ხელმძღვანელობის ნიმუში ასპირანტების მომზადების საქმეში: რედაქციის შესავალი სიტყვა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 2.  
ასპირანტთა მომზადების საქმეში, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით მუშაობის შეჯამება.
987. დაიწყო გამოძახება: სიტყვა პროფ. კ. მეგრელიძის, შ. ნუცუბიძის, კ. ბაქრაძის, გ. ჯავახიშვილისა და დოც. ე. ტატიშვილის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 2.  
ხელმძღვანელთა ანგარიში ასპირანტებთან მიმდინარე და ჩატარებული მუშაობის შესახებ.
988. ლ.-ს. ბრძოლა პირველობისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 2.  
ეკონომიკის ფაკულტეტის საგეგმო სექციის პირველი კურსის მე-3 ჯგუფის მუშაობა სწავლების მაღალი ხარისხისთვის.
989. ს. ჯ. დ. ჭეიშვილი ირონით ეკიდება "წითელ და შავ დაფას" // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 3.  
აკადემიური მოსწრების შესაბამისად, ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტთა წითელ და შავ დაფაზე გამოკვრის შესახებ, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით.
990. ბჟუჟისპირელი. როგორ ვხვდებით საწარმოო პრაქტიკას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 3.  
სტუდენტთა მომზადება საწარმოო პრაქტიკისთვის, სათანადო მუშაობის გაშლა ჩამორჩენისა და ცოდნის მაღალი მაჩვენებლის მისაღწევად.
991. გ. ხულიგანს ხელს აფარებენ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.- №6.- გვ. 3.  
უნივერსიტეტის მუშფაკის სტუდენტის, შალიკო გოგინაშვილის არაწესიერი ქმედება, რაც ხელის შემშლელია მსმენელთათვის.
992. ოზ-ლი. კომორგები ჩაება კონკურსში: (თეორიული სექცია) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 3.  
კომორგების ვალდებულებანი, საკავშირო დღესთან დაკავშირებით, კომუნალური მშენებლობის დარგში გამოცხადებულ კონკურსში ჩასაბმელად.
993. ჩერქეზიშვილი ბ. აი ვმუშაობთ ასე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 3.  
საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მე-2 კურსის ბიოლოგიის სექციის მაღალი აკადემიური მოსწრების შესახებ.
994. მეთვალყურე. ჩვენც ვიბრძვით // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 3.  
ეკონომიკის ფაკულტეტის სააღრიცხვო სექციის ჯგუფის ბრძოლა მეორე საკავშირო კონკურსში გამარჯვებისთვის.

995. ვ. ტ. კარგი მუშაობის შედეგად // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 3.  
ასპირანტურის მოსამზადებელი კურსის პოლიტწრის წარმატებული მუშაობა.
996. ფრანგულაშვილი. მიმართვა საქართველოს პროლ. სტუდენტების ბერლინის, პარიზის, ლონდონის, ვენის, რომის, და ნიუიორკის რევოლუციონურ პროლეტარულ სტუდენტებს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 4.  
საქართველოს სტუდენტთა ცენტრალური ბიუროს მიმართვა ბერლინის, პარიზის, ლონდონის, ვენის, რომის, და ნიუიორკის სტუდენტებისადმი წერილობითი კავშირის გაღრმავებისა და უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების მუშაობის გაცნობის მიზნით.
997. ბერაია ნინა. გეგმები წარმატებით სრულდება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 4.  
ისტორიის და ლიტერატურის ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მიერ შესრულებული სასწავლო გეგმის დაჯამება და მუშაობის მაღალი მაჩვენებელი.
998. ცნობა სტუდენტთა და პედ-პერსონალთა გაცდენებზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№6.-გვ. 4.  
სტუდენტთა და პედაგოგთა საპატიო და არასაპატიო გაცდენების ჩამონათვალი.
999. ვემზადოთ მომავალი სასწავლო წლისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 1.  
მოსამზადებელი მუშაობისა და იმ ძირითადი ამოცანების ჩამონათვალი, რომელზეც დამოკიდებულია მომავალი სასწავლო წლის წარმატებით წარმართვა.
1000. გამომახებას ვაგრძელებთ: სიტყვა ეძლევა პროფ. კ. კეკელიძეს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 1.  
პროფესორ კ. კეკელიძის მუშაობა ასპირანტ ტრიფონ რუხაძესთან, პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი.
1001. ტატბელი ნ. №21 ჯგუფი აკადემიური ბრძოლის ფრონტზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 2.  
ეკონომიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის სავაჭრო სექციის ჯგუფის წარმატებები და ბრძოლა აკადემიური დონის ამაღლებისთვის.
1002. შ. როდის მოელება ბოლო უმსგავსოებას: მე-7-დე კორპუსი სტ. ქალაქი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 2.  
უნივერსიტეტის მე-7 კორპუსში წესრიგის დარღვევის ფაქტის შესახებ.
1003. კალანდაძე ვ. სტიპენდიას უკანონოდ იღებენ//ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 2.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან დადგენილების საწინაარმდეგო ქმედება მომსახურე სტუდენტების მიმართ.
1004. ჭელიძე გ. გაუსწორებელი სტუდენტები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 2.  
ეკონომიკის ფაკულტეტის სააღრიცხვო განყოფილებაზე ჩარიცხულ სტუდენტთა წესრიგის დარღვევის ფაქტები.
1005. მოვუსმინოთ მოსკოვში მივლინებულ ასპირანტებს: ლაპარაკობს ასპ. ლ. ებანოიძე, ასპ. ა. მოსიავა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 3.  
მოსკოვში მივლინებულ ასპირანტთა მუშაობა ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საკითხებზე.
1006. ანბორ გ. მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია: "პრავდა" 31 მარტი 1934 წ. // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 2-4.  
ლენინგრადში არსებული მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის მუშაობა.
1007. გავაშელი ივ. მივბადოთ მოწინავეებს: განვამტკიცოთ დისციპლინა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 4.  
ქართული სექციის მე-3 კურსის სტუდენტთა შედეგები დისციპლინის განმტკიცების კუთხით.
1008. ჯანჯღავა პ. მივბადოთ მოწინავეებს: დამკვრელი ლექტორი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.- №7.- გვ. 4.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადამოს წყების მუშავაკის ლექტორის გრიშა ხელაძის მიერ 1933–34 წლის სამოსწავლო გეგმის წარმატებით შესრულების შესახებ.

1009. კენჭაძე ვ. მივბამოთ მოწინავეებს: ენერგიულად მომუშავე ლექტორები / ვ. კენჭაძე, ა. ჯაფარიძე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის იმ ლექტორთა შესახებ, რომელთაც სასწავლო წლის განმავლობაში არ გაუცდენიათ არცერთი აკადემიური საათი.
1010. ცნობა სტუდენტთა და პედ-პერსონალთა გაცდენებზე: 1/IV-30/IV-მდე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 4.  
სტუდენტთა და პედაგოგთა საპატიო და არა საპატიო გაცდენების შესახებ ჩამონათვალი.
1011. ვ. ტ. როგორ ვხვდებით სესიებს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№7.-გვ. 4.  
ასპირანტთა მოსამზადებელი ჯგუფის დროული ქმედება სასესიო პერიოდისთვის.
1012. არც ერთი წუთის გაცდენა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 1.  
უნივერსიტეტის პარტკომის დადგენილების შესაბამისად, სასწავლებელში არსებული ყველა ორგანოს მხრიდან დისციპლინისა და სწავლის ხარისხის განსამტკიცებლად მუშაობა.
1013. ერთთვიურის კამპანიის მასალებით: (ეკონომიკის ფაკულტეტი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 2.  
ლექციის გამცდენ სტუდენტთა ნუსხა.
1014. ჩიჩუა ტ. გეოგრაფია ჩამორჩა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 2.  
საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფიის სტუდენტთა დაბალი აკადემიური მოსწრება.
1015. ჩამორჩენას არ დაუშვებთ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.- გვ. 2  
ეკონომიკის ფაკულტეტის საფინანსო – სავაჭრო სექციის სტუდენტთა მიღწევები.
1016. დობორჯგინიძე ალ. დამკვერელი ლექტორი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 2.  
ეკონომიკის ფაკულტეტის სავაჭრო სექციის მათემატიკის ლექტორის, შარაშენიძის კეთილ-სინდისიერი დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და სტუდენტებისადმი.
1017. ოჩიგავა დ. ნამდვილი ლაბორანტი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 2.  
ზოოლოგიის კათედრის ლაბორანტის, ს. გამცემლიძის მიერ სანიმუშოდ ჩატარებული კონსულტაცია.
1018. ჯაფარიძე გ. მუშაობა გამოცოცხლდა//ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 2.  
საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მე-2 კურსის სამკუთხედის მუშაობა სუსტ სტუდენტთა დასახმარებლად.
1019. ვაჭარაძე ვ. დავ. ბაჯელიძე გარიცხულია კ. კავშირის რიგებიდან: უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის დადგენილება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 2.  
სტუდენტთა ქალაქის საერთო საცხოვრებელში დ. ბაჯელიძის მხრიდან უდისციპლინო ქმედების გამო, მისი კ. კ. ორგანიზაციიდან, საერთო საცხოვრებელიდან და უნივერსიტეტიდან გარიცხვასთან დაკავშირებით.
1020. ცნობა სტუდენტთა და პედ-პერსონალთა გაცდენაზე 30 / IV-6 / V-მდე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 2.  
სტუდენტთა და პედაგოგთა მიერ საპატიო და არა საპატიო გაცდენასთან დაკავშირებით ჩამონათვალი.
1021. ფაჩულია ს. საკლუბო მუშაობა უნდა გაჯანსაღდეს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 3.  
„უნივერსიტეტის პარტორგანიზაციების მუშაობის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად, ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მიერ საკლუბო მუშაობაში გამოვლენილი სუსტი მხარე.
1022. ოკუჯავა ი. სანამ უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა? // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 3.

არაორგანული ქიმიის ლაბორატორიაში, სასწავლო გეგმების წარმატებით შესრულებისთვის არასაკმარისი პირობები.

1023. მანთიძე ბ. როგორ ვატარებთ პრაქტიკას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 3.  
ისტორიის და ლიტერატურის ფაკულტეტიდან პრაქტიკაზე წასულ სტუდენტთა მხრიდან გაწეული მუშაობის შესახებ.
1024. ი. ო. სააღრიცხვო საგანი არ უნდა გავხადოთ სასესიოდ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 3.  
სტუდენტთა სურვილი, ლექტორების მხრიდან წარმოებდეს ყოველდღიური მუშაობის შედეგების ზუსტი შეფასება და არ ჰქონდეს ადგილი ზერელე მიდგომას.
1025. ჩავლეიშვილი ალ. ვინ რაზე მუშაობს: მოვუსმინოთ ასპ. ა. ჩავლეიშვილს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 3.  
ასპირანტის მიერ უნივერსიტეტსა და მოსკოვის ბუზნოვის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადისერტაციო თემის „სახის პრობლემა მხატვრულ ლიტერატურულ შემოქმედებაში“ დასამუშავებლად გაწეული საქმიანობის შესახებ.
1026. გ. კ. ვინ რაზე მუშაობს: მისაბადი ჯგუფი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 3.  
ეკონომიკის ფაკულტეტის მე-3 კურსის პირველი სემესტრის სასწავლო გეგმის წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებით.
1027. მამალაძე ალ. სტუდ. დახურული კოოპერატივი უმოქმედობას იჩენს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 4.  
სტუდენტთა მატერიალური და კულტურული ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმეში ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამომხმარებლო კოოპერაციული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა.
1028. ბოლქვაძე ილია. მუშფაკი დღეს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 4.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის მიღწევები და ნაკლოვანებანი.
1029. დუშუაშვილი ნ. მოწინავეები და ჩამორჩენილები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ გაცდენების მინიმუმამდე დასაყვანად ჩატარებული ღონისძიებები.
1030. გამცემლიძე ს. როგორ შევხვდით ერთთვიურს//ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 4.  
საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, უნივერსიტეტის პარტკომის დადგენილების შესაბამისად, დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების კუთხით პედაგოგთა აქტივობა.
1031. ჭანტურიძე სოსო. პროგრამა დავასრულეთ// ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№8.-გვ. 4.  
ეკონომიკის ფაკულტეტის ფიზიკური გეოგრაფიის საგნის პედაგოგის, პროფესორ ალ. ჯავახიშვილის მიერ წარმატებით შესრულებული სამუშაოს შედეგი – სტუდენტების მიერ საგნის საფუძვლიანად შესწავლა და ჩაბარების მაღალი მაჩვენებელი.
1032. ციხისთავი ლ. ერთთვიურის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის: ყველა ძალები დისციპლინის განმტკიცებას, არ დავუშვათ არც ერთი წუთის გაცდენა, ყოველმხრივად ვიბრძოლოთ საკავშირო კონკურსში გამარჯვების მოსაპოვებლად: უნივერსიტეტის პარტკომს აშხ. ს. მინდაძეს რექტორს. აშხ. ლ. აღნიაშვილს, გაზ. "ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქციას / ლ. ციხისთავი, შ. კალანდარიშვილი, კ. ჩხარტიშვილი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 2.  
სასწავლო გეგმების შესრულებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებისთვის აკადემიური ჯგუფების მობილიზება.
1033. ბირკაია გ. ერთთვიურის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის: ყველა ძალები დისციპლინის განმტკიცებას, არ დავუშვათ არც ერთი წუთის გაცდენა, ყოველმხრივად ვიბრძოლოთ საკავშირო

- კონკურსში გამარჯვების მოსაპოვებლად: მზადება სესიებისათვის (ტფ. სახუნივერსიტეტი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 2.
- ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორთა მუშაობა სესიების წარმატებით ჩასატარებლად.
1034. ტ. დ. ვინ როგორ იბრძვის პარტკომის დადგენილების შესრულებისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 2.
- ერთთვიურის პირველი დეკადის განმალობაში, ფაკულტეტების მხრიდან, მაღალი მაჩვენებლებისა და საპატიო გაცდენების მაქსიმუმამდე შემცირების თაობაზე.
1035. ყავრიშვილი ბ. ერთთვიურის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის: ყველა ძალები დისციპლინის განმტკიცებას, არ დავუშვით არც ერთი წუთის გაცდენა, ყოველმხრივად ვიბრძოლოთ საკავშირო კონკურსში გამარჯვების მოსაპოვებლად: მეტი ყურადღება გეოგრაფიის სწავლებას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 2.
- გეოგრაფიის სწავლების არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ.
1036. ლომია ილ. ერთთვიურის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის: ყველა ძალები დისციპლინის განმტკიცებას, არ დავუშვით არც ერთი წუთის გაცდენა, ყოველმხრივად ვიბრძოლოთ საკავშირო კონკურსში გამარჯვების მოსაპოვებლად: ორი ჯგუფი – ორი მაგალითი: (ჯგ. №72 და ჯგ. №71) / ილ. ლომია, მიხ. ჩიქოვანი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 2.
- დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით გეოგრაფიული სპეციალობის პირველი კურსის №72 ჯგუფში ჩამორჩენილი სტუდენტებისთვის ღონისძიებების გატარება.
1037. ერთთვიურის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის: ყველა ძალები დისციპლინის განმტკიცებას, არ დავუშვით არც ერთი წუთის გაცდენა, ყოველმხრივად ვიბრძოლოთ საკავშირო კონკურსში გამარჯვების მოსაპოვებლად: ერთთვიური კამპანიის მასალები 12/V-19/V-მდე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 2.
- ჯგუფებისა და სტუდენტთა საპატიო და არასაპატიო გაცდენების შესახებ.
1038. პიკი. "მოხალისე" სტუდენტი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 2
- სტუდენტ, ოღლა კაკაშვილის უდისციპლინო ქმედება, სასწავლო საათების გაცდენასთან დაკავშირებით.
1039. აღნიაშვილი ლ. საყვედურის გამოცხადება: ტფ. სახ. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 2.
- ასპირანტურის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე ასპირანტ, ვ. რუსიშვილისა და ე. ბალავაძის მიმართ სასტიკი საყვედურის გამოცხადების თაობაზე.
1040. მტკიცედ ჩავებათ ბოლშევიკური პრესის მუშაობაში: ამხ. ს. მინდაძის მოხსენება გაზ. "ბოლშევიკური კადრებისათვის" მუშაობის შესახებ კორესპონდენტთა თათბირზე 16 მაისს // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 3.
- ს. მინდაძის მოხსენება და კამათში მონაწილე პირთა გამოსვლები.
1041. ჯობლაძე ი. მოწინავე ვხდებით: (ასპირანტურა)//ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 4.
- ასპირანტურის ინსტიტუტის პირველ კურსზე ჩარიცხულ ასპირანტთა მუშაობის შესახებ.
1042. ჩიჩუა ტ. პირველი დღეები პრაქტიკაზე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 4.
- გეოლოგიის დარგის მე-3 კურსის სტუდენტებისთვის გეოლოგია-მინერალოგიის კათედრების მიერ პრაქტიკის ჩასატარებლად გეგმის შემუშავება, ტფილისის უნივერსიტეტის მიდამოების შესასწავლად.
1043. კავალერისტი. სწავლა გინდა თუ არა?: ამხ. ოღლა რუხაძე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 4.
- სახელმწიფო უნივერსიტეტის სავაჭრო სექციის მე-3 კურსის სტუდენტის, ოღლა რუხაძის აკადემიური მომზადების მხრივ ჩამორჩენასთან დაკავშირებით.

1044. ნემო. "გთხოვთ გამანთავისუფლოთ" // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№9.-გვ. 4.  
ბრძოლა სტუდენტთა ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების წინააღმდეგ.
1045. დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების მაღალი ხარისხისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 1.  
პარტიული კომიტეტის დადგენილების "დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლების ერთთვიურის ჩატარების შესახებ" საფუძველზე ჩამორჩენილ სტუდენტთა დახმარების, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის გაძლიერება.
1046. სამნი. ყურადღებას არ აქცევენ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 1.  
სამართლის ფაკულტეტის სტუდენტთა წუხილი სასწავლო ლიტერატურის უქონლობის გამო.
1047. თავი დავაღწიოთ ჩამორჩენას ასპირანტის მომზადების საქმეში: რედაქციის დასკვნითი სიტყვა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 1.  
შენიშვნა გაზეთის რედაქციის მხრიდან ასპირანტთა მომზადების საქმეში მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, ქმედების გააქტიურება.
1048. ჩიჩუა ტ. საწარმოო პრაქტიკის შესახებ: (საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 2.  
საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის სანიმუშო მაჩვენებელი (გეოლოგიის, მინერალოგიის, ბოტანიკის, გეოგრაფიის კათედრა).
1049. ი. ჩ. ორი მასწავლებელი – ორი მაგალითი: (ასპირანტურა) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 2.  
ასპირანტურის ინსტიტუტის დოცენტის ერეკლე ტატიშვილისა და პროფესორ კულიკოვის ღირსეული დამოკიდებულება ასპირანტთა აღზრდის კუთხით.
1050. რაჭამაშვილი მ. მაქსიმალურად გამოვიყენოთ ერთთვიურის დარჩენილი დრო: გაცდენების ლიკვიდაციისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის: ვიბრძვით პირველობის შენარჩუნებისათვის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 3.  
საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტის №41 ჯგუფის მიერ პირველ სემესტრში მოპოვებული პირველობა და ბრძოლა მის შესანარჩუნებლად.
1051. ბოლქვაძე ი. 5, 6 პროცენტის ნაცვლად 1,5 პროცენტი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 3.  
უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის სასწავლო ნაწილის მიერ შედგენილი კალენდარული გეგმა, მიმართული დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის გარღმავებისკენ.
1052. ცნობა სტუდენტთა და პედ-პერსონალთა გაცდენებზე: 24/V-30/-V-მდე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 3.  
ცხრილის სახით მოცემული სტუდენტთა და პედაგოგთა საპატიო და არასაპატიო გაცდენების შესახებ.
1053. ტ. ს. უ სასწავლო ნაწილი, გაზ. "ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქცია. ვიბრძოლოთ გამარჯვების მოპოებისათვის: კონკურსის პირობები // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.- გვ. 3.  
უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილისა და გაზ. "ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქციის მიერ გამოცხადებული კონკურსი საუკეთესო კათედრის, ლაბორატორიის, კაბინეტისა და სტუდენტის საუკეთესო სამუშაო ჩანაწერზე.
1054. ვიბრძოლოთ გამარჯვების მოპოებისათვის: კონკურსის მაჩვენებლები: რომელი კათედრა, ლაბორატორია, კაბინეტი ჩაითვლება საუკეთესოდ? // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 3.  
პირობების ჩამონათვალი, რომლის შემსრულებელიც (კათედრა, ლაბორატორია, კაბინეტი) ჩაითვლებიან საუკეთესოდ.

1055. ნ. ბ. ვიბროლოთ კულტურული ცხოვრებისათვის / ნ. ბ., ა. შ. // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 4.  
უნივერსიტეტის ბრძოლა სტუდენტებში საყოფაცხოვრებო და ეთიკის ნორმების სწავლების გაძლიერებისთვის.
1056. კ. ბრილიანტა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№10.-გვ. 4.  
სტუდენტ, ბრილიანტა ჩხარტიშვილის უდისციპლინო ქმედებების შესახებ.
1057. მეტრეველი პ. რა გამოარკვია შემოწმებამ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 2.  
სწავლების მაღალი ხარისხის მიღებისა და სასწავლო გეგმების შესრულებისთვის მე-2 საკავშირო კონკურსთან დაკავშირებით, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის ჩაბმა და მაღალი აქტივობა.
1058. ყალიჩავა გიორგი. ავამაღლოთ საწარმოო პრაქტიკის ხარისხი: მეტი ყურადღება პრაქტიკას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 2.  
ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის გრ. ჯანელიძის მიერ ქალაქ ქუთაისში განაწილებული ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის გაცნობა და დადებითი და უარყოფითი მხარის გამოვლენა.
1059. მ. ხ. ავამაღლოთ საწარმოო პრაქტიკის ხარისხი: როგორ ტარდება პრაქტიკა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 2.  
საფინანსო-სავაჭრო სექციის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა ტფილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში და გამოვლენილი უარყოფითი შედეგები.
1060. ცნობა სტუდენტთა და პედ-პერსონალის გაცდენებზე 6/VI-12/VI მდის // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 2.  
ცხრილის სახით მოცემული სტუდენტთა და პედაგოგთა საპატიო და არასაპატიო გაცდენების შესახებ.
1061. ტ. დ. პროფ. შ. ნუცუბიძის კათედრა მუშაობს ასე // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 3.  
დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კათედრის მიერ წარმატებით შესრულებული სასწავლო გეგმა, სამეცნიერო მუშაობა და ასპირანტთა ხელმძღვანელობა.
1062. ტ. უასისტენტო კათედრა // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 3.  
გეოგრაფიის კათედრის მიერ შესრულებული საწარმოო გეგმა და შენიშვნები სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისთვის.
1063. ფირცხალაიშვილი აკ. ვიძლევი სიტყვას // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 3.  
გაზეთ "ბოლშევიკური კადრებისათვი" მოთავსებულ სტატიაზე (იხ. 1934 წ.-№10.-გვ. 4) "ვიბროლოთ კულტურული ცხოვრებისათვის" აკ. ფირცხალაიშვილის გამოხმაურება და პირობა, იზრუნებს სისუფთავის დაცვისა და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისთვის.
1064. ნინუა მ. გაცდენილია 111 საათი: (საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი) // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 3.  
საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტების მხრიდან ლექციების უმიზეზოდ გაცდენის ფაქტები და ფაკულტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან უყურადღებობა.
1065. ბულია პლ. ჯგუფს დაეტყო გამოსწორება // ბოლშევიკური კადრებისათვის.- 1934.- №11.- გვ. 3.  
ისტორიის და ლიტერატურის ფაკულტეტის №47 ჯგუფის მიერ გაცდენების შემცირებისა და სასწავლო გეგმის შესრულებულის შესახებ.
1066. ფაცურია ა. ენერგიულად მუშაობენ // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 3.  
საგეგმო განყოფილების კომკავშირის უჯრედისა და ახალგაზრდა ლექტორების მიერ სუსტი სტუდენტების დასახმარებლად მუშაობის გაძლიერება.
1067. შემოქმედელი ვ. მოწინავე ჯგუფი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 4.

- ეკონომიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის №9 ჯგუფის სამკუთხედის აქტივობა, სწავლების მაღალ ხარისხის, დისციპლინის განმტკიცებისა და პირველობის შენარჩუნებისთვის.
1068. კიზირია პარ. 15 დამატებითი საათი // ბოლშევიკური კადრებისათვის.-1934.-№11.-გვ. 4.  
